

შეიარაღებული კონფლიქტების ტიპოლოგია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით: სამართლებრივი ცნებები და რეალური სიტუაციები

სილვან ვიტე*

სილვან ვიტე არის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის
იურიდიული განყოფილების სამართლებრივი მრჩეველი

მიმოხილვა

იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი მიზანი შეიარაღებული კონფლიქტების ზეგავლენის შემცირებაა, ის არ გვადლევს სრულ განსაზღვრებას იმისა თუ რა სიტუაციები შეიძლება მოექცეს მისი არსებითი გამოყენების სფეროში. მართალია ზოგიერთი კონვენცია ეხება შეიარაღებული კონფლიქტის სხვადასხვა ტიპებს და მამასადამე გვთავაზობს ამ მრავალწახნაგოვანი კონცეფციის მონახაზს, ეს ინსტრუმენტები მაინც არ გვადლევენ საკმარისად ზუსტ კრიტერიუმებს კონფლიქტის ამ კატეგორიების შინაარსის მკაფიოდ განსაზღვრისათვის. თუმცა მკაფიობის გარკვეული ხარისხი უდავოდ საჭიროა, რადგან პრინციპში წესების გამოყენება ცვალებადია თითოეული

* ამ სტატიაში გადმოცემული ხედვები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მოსაზრებებს. ავტორს სურს გულითადი მადლობა გადაუხადოს თავის კოლეგებს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის იურიდიული განყოფილებიდან, რომლებიც მას დაეხმარნენ ამ სტატიაში განვითარებული იდეების ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებულად კი იგი გამოყოფს ლორენტ კოლასისს, ტრისტან ფერაროს, ჟან-მარ ჰენკერტსა და კეიტლინ ლოუანდს.

შემთხვევისათვის იმის მიხედვით თუ სამართლებრივად როგორ განიმარტება კონკრეტული სიტუაცია. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გადმოსახედიდან შეიარაღებული კონფლიქტების ტიპოლოგიის განხილვით, ამ სტატიის მიზანია გამოაჩინოს თუ როგორ შეიძლება შეიარაღებული კონფლიქტების სხვადასხვა კატეგორიები, რომელიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის რეჟიმითაა მოსალოდნელი, განიმარტოს საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით. სტატია ასევე განიხილავს რამდენიმე პრაქტიკულ სიტუაციას, რომელთა მოქმედი სამართლებრივი კონცეფციების მიხედვით შეიარაღებულ კონფლიქტად კატეგორიზაცია კამათის საგნად იქცა.

სარჩევი

მიმოხილვა	1
საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი	3
ომი და საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი	4
ოკუპაცია	7
არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი	9
1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი	10
მეორე დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი	14
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება (რომის სტატუტი)	16
ზოგიერთი შეიარაღებული კონფლიქტის სადავო კლასიფიკაცია	19
ტერიტორიის კონტროლი სამხედრო ჯარების ადგილზე ყოფნის გარეშე	20
არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში უცხო ძალების ჩარევა	22
ერთი ან რამდენიმე მესამე სახელმწიფოს ჩარევა არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში	22
არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში მრავალმხრივი ძალების ჩარევა	24
„ექსპორტირებული“ არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი	26
ტრანს-სასაზღვრო არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი	28
ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლის საკითხი	31
დასკვნა	32

შესავალი

იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი მიზანი შეიარაღებული კონფლიქტების ზეგავლენის შემცირებაა, ის არ გვამღვეს სრულ განსაზღვრებას იმისა თუ რა სიტუაციები შეიძლება მოექცეს მისი არსებითი გამოყენების სფეროში. მართალია ზოგიერთი კონვენცია ეხება შეიარაღებული კონფლიქტის სხვადასხვა ტიპებს და მამასადამე გვთავაზობს ამ მრავალწახნაგოვანი კონცეფციის მონახაზს, ეს ინსტრუმენტები მაინც არ გვამღვევენ საკმარისად ზუსტ კრიტერიუმებს კონფლიქტის ამ კატეგორიების შინაარსის მკაფიოდ განსაზღვრისათვის. თუმცა მკაფიობის გარკვეული ხარისხი უდავოდ საჭიროა, რადგან პრინციპში წესების გამოყენება ცვალებადია თითოეული შემთხვევისათვის იმის მიხედვით თუ სამართლებრივად როგორ განიმარტება კონკრეტული სიტუაცია. მხედველობაში მისაღები სამართლებრივი რეჟიმები ყოველთვის მსგავსი არაა და ძირითადად დამოკიდებულია იმაზე თუ მაგალითად სიტუაცია კვალიფიცირდება როგორც საერთაშორისო თუ არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად. ასევე, ძალადობის ზოგიერთი ფორმები, როგორცაა ეგრეთ წოდებული „შიდა დამაბულობა“ ან „შიდა არეულობა“, ვერ აღწევენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენების ზღვარს და შესაბამისად ხვდებიან სხვა ნორმატიული ჩარჩოს მოქმედების სფეროს ქვეშ.

ეს სტატია შეიარაღებული კონფლიქტების ტიპოლოგიას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გადმოსახედიდან განიხილავს. პირველ რიგში ის წარმოადგენს თუ როგორ შეიძლება შეიარაღებული კონფლიქტების სხვადასხვა კატეგორიები, რომელიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის რეჟიმითაა მოსალოდნელი, განიმარტოს საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია რომ განხილული იყოს პირველ რიგში საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების სამართალთან ხოლო მეორე რიგში არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების სამართალთან დაკავშირებული კონცეპტუალიზაციის მცდელობები. ამის შემდგომ სტატია მიმოიხილავს რამდენიმე წინააღმდეგობრივ შემთხვევას. შეიარაღებული კონფლიქტის რეალობა პრინციპში უფრო კომპლექსურია ვიდრე ეს გადმოცემულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოდელში იმ კუთხით რომ დღესდღეობით ზოგიერთი კომენტატორი საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშაც კი აყენებს სამართლებრივი კატეგორიების ადეკვატურობას.

საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი

საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის ისტორია აჩვენებს რომ ამ სამართლებრივი რეჟიმის გამოყენების სფერო პროგრესულად იზრდება სახელშეკრულებო სამართლის განვითარებასთან ერთად. რამდენადაც ადრეულ ეპოქაში ომის ვიწრო და ფორმალისტური გაგება იყო უფრო დომინანტი, სისტემის რეფორმამ და 1949 წელს ჟენევის კონვენციების გადასინჯვამ შექმნა უფრო ფართო მიდგომის მიღების პრეცედენტი, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის უფრო ობიექტურ კონცეფციას ეფუძნება. ამას გარდა, ეს გაფართოების მიდგომა შემდგომ გაგრძელდა 1977 წლის პირველი დამატებითი ოქმის მიღებით. ამ ინსტრუმენტმა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის სფეროს კიდევ ახალი ტიპის კონფლიქტი დაუმატა, კერძოდ - ეროვნულ განმათავისუფლებელი ომები. საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების

სამართლებრივი რეჟიმი დამატებით ასევე მოიცავს განსაკუთრებული წესების ერთობლიობას, რომელთა გამოყენებაც დამოუკიდებლად არსებული კონცეფციის - ოკუპაციის - არსებობაზეა დამოკიდებული.

ომი და საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი

ჟენევის 1949 წლის კონვენციების საერთო მე-2(1) მუხლის მიხედვით, ეს კონვენციები გამოიყენება „გამოცხადებული ომის ყველა შემთხვევაში, ასევე მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შორის მომხდარ ყველა შეიარაღებულ კონფლიქტში, თუნდაც საომარი მდგომარეობა არ იყოს აღიარებული რომელიმე მათგანის მიერ.“¹ აქ მოყვანილი სიტუაციები წარმოადგენს სახელმწიფოებს შორის კონფლიქტს. ამ მუხლში მოცემული ტერმინი „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები“ ნიშნავს სუვერენულ ერთეულს. გააჩნია როგორი შემთხვევა გვექნება სახეზე, აქ მოყვანილი სიტუაცია შეიძლება განვითარდეს სახელმწიფოებს შორის პირდაპირი კონფლიქტის სახით ან მანამდე არსებულ შიდა კონფლიქტში ჩარევის გზით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კონფლიქტი უკვე „გასაერთაშორისოებულია“. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მაგალითად უცხო სახელმწიფო რომელიღაც ტერიტორიაზე აგზავნის ჯარებს რომ მხარი დაუჭიროს ადგილობრივი მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს. ინტერვენცია შესაძლოა მართული რეჟიმის მეშვეობითაც განხორციელდეს, როდესაც უცხო ძალა მხოლოდ დისტანციურად უჭერს მხარს და მართავს აჯანყებას.² ასეთ დროს გადამწყვეტია კონტროლის დონის დადგენა, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს შეიარაღებული კონფლიქტის კვალიფიკაცია საერთაშორისო კონფლიქტად. ყველა ფორმის ზეგავლენა ავტომატურად არ გულისხმობს რომ შეიარაღებული კონფლიქტი გასაერთაშორისოებულია. ამ საკითხზე ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილმა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა მიუთითა რომ „სახელმწიფოს მიერ დაქვემდებარებულ სამხედრო ძალებზე ან სახალხო ლაშქარზე ან გასამხედროებულ დანაყოფებზე კონტროლი შესაძლოა იყოს ზოგადი ხასიათის (და უნდა მოიცავდეს უფრო მეტს ვიდრე მხოლოდ ფინანსური დახმარების ან სამხედრო ტექნიკის მიწოდება ან წვრთნას). თუმცა ეს მოთხოვნა არ მოიცავს იმდენად სიღრმისეულ კონტროლს, როგორცაა ამ სახელმწიფოს მიერ კონკრეტული ბრძანებების გაცემა ან მის მიერ ცალკეული სამხედრო ოპერაციების გაძღოლა.“³ „ზოგადი კონტროლის“ კრიტერიუმი სახეზეა

¹ გამოყენების იგივე სფერო შენარჩუნდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა ინსტრუმენტებისთვისაც, კერძოდ კი პირველი დამატებითი ოქმისთვის (იხილეთ მუხლი 1(3)).

² International Criminal Tribunal for the former Yugoslavia (ICTY), *Prosecutor v. Tadic*, Case No. IT-94- 1-A, Judgment (Appeals Chamber), 15 July 1999, პარაგრაფი 84: ‘უდავოა რომ შეიარაღებული კონფლიქტი საერთაშორისო ხასიათისაა თუკი ის ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის მიმდინარეობს. დამატებით, ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაწყებული არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტიც შეიძლება გახდეს საერთაშორისო (ან, გარემოებების მიხედვით შესაძლოა იყოს საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტი, სხვა შიდა კონფლიქტის პარალელურად) თუკი (i) მეორე სახელმწიფო ჩაერევა ამ კონფლიქტში თავისი ჯარებით, ან ალტერნატიულად, თუკი (ii) შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ზოგიერთი მონაწილე ამ სახელმწიფოს სახელით მოქმედებს.’

³ *ოქვე*, პარაგრაფი 137. ამ საკითხზე ასევე იხილეთ: International Court of Justice (ICJ), *Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Bosnia and Herzegovina v. Serbia and Montenegro)*, Judgment, ICJ Reports 2007, 26 February 2007, პარაგრაფი 404. ამ საკითხზე მკაფიო პოზიციის დაფიქსირების გარეშე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ზოგადი კონტროლის კრიტერიუმები შესაძლოა ყოფილიყო „გამოყენებული და მიზანშეწონილი“ იმის დასადგენად არის თუ არა კონფლიქტი საერთაშორისო ხასიათის. ამ საკითხზე დისკუსიისათვის ასევე იხილეთ: A.

მაშინ, როდესაც უცხო სახელმწიფოს „დაფინანსების, წვრთნისა და აღჭურვის ან დაჯგუფების ოპერაციული მხარდაჭერის გარდა ასევე აქვს როლი ორგანიზების, კოორდინაციისა და სამხედრო დაჯგუფების შეიარაღებული მოქმედებების დაგეგმვაში“ (ხაზგასმა ავტორისეულია).⁴ შესაბამისად ასეთი ჩართულობა სცდება მხოლოდ ლოგისტიკური მხარდაჭერის აღმოჩენის ფარგლებს, მაგრამ ის ასევე არ მოიაზრებს იმას რომ სამხედრო დაჯგუფების მიერ განხორციელებული ყველა ქმედება წარმართული იყოს დისტანციურად უცხო სახელმწიფოს მიერ.

ჟენევის 1949 წლის კონვენციების საერთო მე-2(1) მუხლში მოცემული სიტუაციები გადმოცემულია ორი მიდგომის - ფორმალიზმის და ეფექტიანობის - ჭრილში. პირველ რიგში გვაქვს გამოცხადებული ომი, რაც გულისხმობს რომ საომარი მდგომარეობა ოფიციალურად არის აღიარებული შესაბამისი მხარეების მიერ. მეორე მხრივ კი გვაქვს სახელმწიფოთაშორისი შეიარაღებული კონფლიქტის სხვა ფორმები, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული იმაზე თუ როგორ განმარტავენ ამ კონფლიქტს მისი მხარეები. რამდენადაც ომის ცნება ჯერ კიდევ უძველეს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლებრივ ხელშეკრულებებშიც კი გვხვდება,⁵ 1949 წლის ჟენევის კონვენციებმა ამ სამართლებრივ რეჟიმში “შეიარაღებული კონფლიქტის” ცნება პირველად შემოიტანეს. ამ გზით, ამ ინსტრუმენტების შემქმნელებს სურდათ გამოეხატათ რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენება ამის შემდეგ უკვე აღარ იყო დამოკიდებული მთავრობების ნებაზე. ის უკვე აღარ იყო დამოკიდებული სუბიექტურ მხარეზე, რომელიც თან სდევდა სახელმწიფოების მხრიდან ომის აღიარებას, არამედ ის უკვე გახდა დამოკიდებული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე გადამოწმებად ფაქტებზე. 1949 წელს ამ მიღწევის წყალობით, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი უკვე დამკვიდრდა როგორც ეფექტიანობის პრინციპზე დაფუძნებული კონცეფცია. აქედან გამომდინარე საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შესაბამისი წესები მოქმედებს მაშინ როდესაც კონკრეტული ფაქტობრივი მდგომარეობა გვაქვს სახეზე.⁶

ხოლო რაც შეეხება ამ ფაქტობრივი მდგომარეობის ბუნებას, მიღებულია რომ მათი დადგენა თავისუფლად არის შესაძლებელი, რადგან ინტენსივობის ხარისხის ზღვარი, რაც საჭიროა იმისათვის რომ კონფლიქტი დაექვემდებაროს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის მოქმედებას, საკმაოდ დაბალია.⁷ საჭიროა მხოლოდ ის, რომ

Cassese, ‘The Nicaragua and Tadic Tests Revisited in Light of the ICJ Judgment on Genocide in Bosnia’, *European Journal of International Law*, Vol. 18, No. 4, 2007, გვ. 649–668.

⁴ ICTY, *Prosecutor v. Tadic*, Judgment (Appeals Chamber), იხილეთ სქოლიო 2, პარაგრაფი 137; იხილეთ ასევე პარაგრაფები 120 და 131. იხილეთ ასევე ICTY, *Prosecutor v. Naletilic*, Case No. IT-98-34-T, Judgment (Trial Chamber), 31 March 2003, პარაგრაფი 198. ამ საკითხზე პრეცედენტული სამართლის ანალიზისათვის, იხილეთ: J.G. Stewart, ‘Towards a Single Definition of Armed Conflict in International Humanitarian Law: a Critique of Internationalized Armed Conflict’, *International Review of the Red Cross*, Vol. 85, No. 850, გვ. 323 ff.; A. Cullen, *The Concept of Non-International Armed Conflict in International Humanitarian Law: A Study on Thresholds of Applicability*, Thesis, University College, Galway, 2007, გვ. 229 ff.

⁵ მაგალითისათვის იხილეთ, მუხლები 4, 5 and 6 of the Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded in Armies in the Field of 22 August 1864.

⁶ იხილეთ: J. Pictet et al. (eds), *Geneva Convention I for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field: Commentary*, Geneva, ICRC, 1952, გვ. 32; R. Kolb, *Ius in bello, Le droit international des conflits armés*, Basel/Brussels, Helbing and Lichtenhahn/Bruylant, 2003, გვ. 72 ff.

⁷ J. Pictet et al. (eds), იხილეთ სქოლიო 6, გვ. 34; იხილეთ ასევე: D. Schindler, ‘The Different Types of Armed Conflicts According to the Geneva Conventions and Protocols’, *The Hague Academy Collected Courses*, Vol. 63, 1979-II, გვ. 131; H.-P.

შესაბამის ინსტრუმენტებში განსაზღვრული სიტუაცია სახეზე იყოს. შესაბამისად „იმ მომენტიდანვე, როგორც კი ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები აღმოჩნდებიან მეორე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დაჭრილი ან დანებებული წევრების ირგვლივ ან ხელში ჩაიგდებენ მეორე სახელმწიფოს სამოქალაქო პირებს, იმ მომენტიდანვე როგორც კი ისინი დააკავებენ ტყვეებს ან ახორციელებენ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის ეფექტიან კონტროლს, ისინი უკვე ვალდებული არიან დაიცვან შესაბამისი კონვენციები.“⁸ ამასთანავე აღსანიშნავია რომ არაა აუცილებელი კონფლიქტი გარკვეული დროის განმავლობაში რომ გაგრძელდეს ან გარკვეული რაოდენობის მსხვერპლი რომ მოიტანოს.⁹ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი არსებობს მაშინ როდესაც, ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის განმარტებას თუ მოვიშველიებთ, „სახეზეა სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული ძალების გამოყენება.“¹⁰ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს არის ის შემთხვევა, როდესაც გარემოებები გამოიხატება მხარეებს შორის დაპირისპირების გზით. თავდასხმა მოტივირებული უნდა იყოს მოწინააღმდეგე მხარისადმი ზიანის მიყენების მიზნით, რათა გამოირიცხოს ისეთი შემთხვევები, როდესაც ძალის გამოყენება შეცდომითაა გამოწვეული (უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკონტროლო შეჭრა, შეცდომით იდენტიფიცირებული სამიზნე და ა.შ.). ასევე აღსანიშნავია რომ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი არ გვაქვს სახეზე, როდესაც სამიზნე სახელმწიფომ წინასწარ მისცა თანხმობა მესამე სახელმწიფოს რომ მის ტერიტორიაზე განეხორციელებინა შეიარაღებული მოქმედებები (მაგალითისთვის რომ ებრძოლოს არასახელმწიფო შეიარაღებულ დაჯგუფებას).¹¹

1977 წლის პირველი დამატებითი ოქმის მიღების შემდეგ, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის მოქმედების სფერო აღარ არის შეზღუდული მხოლოდ ვიწრო გაგებით სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტებით, არამედ მოიცავს სამთავრობო ძალებსა და ზოგიერთ არასახელმწიფო დაჯგუფებებს შორის კონფლიქტებსაც, კერძოდ ასეთ დაჯგუფებებში მოიაზრებიან ხალხი, რომელიც იბრძვის თავისი თვითგამორკვევის უფლების რეალიზებისათვის. დამატებითი ოქმი ხაზგასმით აღნიშნავს

Gasser, 'International Humanitarian Law: an Introduction', separate print from *Humanity for All: the International Red Cross and Red Crescent Movement*, Henri Dunant Institute, Geneva, 1993, გვ. 24; E. David, *Principes de droit des conflits arme's*, Bruylant, Brussels, 2008, გვ. 122; Kolb, იხილეთ სქოლიო 6, გვ. 73.

⁸ H.-P. Gasser, იხილეთ სქოლიო 7, გვ. 22–23.

⁹ თუმცა ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი (რომელიც ინტენსივობის გარკვეულ დონეს აღწევს) და სხვა სახის დაპირისპირებები, როგორცაა მხოლოდ „ინციდენტები“, „სასაზღვრო შეტაკებები“ ან „ცეცხლის გაცვლა“. იხილეთ: International Law Association, *Draft Report, Initial Report on the Meaning of Armed Conflict in International Law*, Rio de Janeiro Conference, 2008, გვ. 9–10 and 23–24.

¹⁰ ICTY, *Prosecutor v. Tadic*, Case No. IT-94-1, Decision on the Defence Motion for Interlocutory Appeal on Jurisdiction, 2 October 1995, პარაგრაფი 70. იხილეთ ასევე: ICTY, *Prosecutor v. Mucic' et al. (C'elebic'i Camp)*, Case No. IT-96-21, Judgment (Trial Chamber), 16 November 1998, პარაგრაფი 184: 'სახელმწიფოებს შორის ძალის გამოყენება საკმარისია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ასამოქმედებლად.' ეს დეფინიცია შემდგომში უკვე სხვა საერთაშორისო ორგანოებმაც გამოიყენეს. მაგალითისთვის იხილეთ: Commission of Inquiry on Lebanon, *Report pursuant to Human Rights Council resolution S-2/1, A/HRC/3/2*, 23 November 2006, პარაგრაფი 51.

¹¹ საწინააღმდეგო მოსაზრებისათვის იხილეთ: David, სქოლიო 7, გვ. 127.

რომ 1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მე-2 მუხლში მოაზრებული სიტუაციები ასევე მოიცავს „შეიარაღებულ კონფლიქტებს, როდესაც ხალხი იბრძვის კოლონიური ჩაგვრისა და უცხოელთა ოკუპაციისა და რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ და ახორციელებენ თავიანთ თვითგამორკვევის უფლებას, როგორც ეს მოცემულია გაეროს წესდებებსა და გაეროს წესდების შესაბამისად სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საკითხებში საერთაშორისო სამართლის პრინციპთა დეკლარაციაში.“¹²

ამ დებულების მოქმედების ფარგლები განმარტებასთან დაკავშირებულ რამდენიმე კითხვას აჩენს, დაწყებული იმით თუ ვინ მოიაზრება და როგორ განიმარტება ტერმინი „ხალხი“, ასევე რა კრიტერიუმების საფუძველზე უნდა მოხდეს გამიჯვნა ამ სიტუაციებისა 1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლში და კონვენციების მეორე დამატებით ოქმში აღწერილი სიტუაციებისაგან.¹³ პირველი დამატებითი ოქმის 1(4)-ელ მუხლში მითითებული ორი ინსტრუმენტი რეალურად იმდენად ზოგადი ხასიათის ტერმინოლოგიითაა წარმოდგენილი რომ სრულფასოვანი პასუხების მიღება ზემოთ დასმულ შეკითხვებზე მათგან შეუძლებელია. ამას გარდა, შეუძლებელია დაზუსტებისათვის რაიმე პრაქტიკის შესწავლაც, რადგან ამ მუხლში მითითებული სცენარის მიხედვით მოვლენები ოფიციალურად არასოდეს შეფასებულა, ძირითადად იმიტომ რომ იმ სახელმწიფოებს, სადაც მსგავსი სცენარი შესაძლოა მომხდარიყო, არ ჰქონდათ პირველი დამატებითი ოქმი რატიფიცირებული. დაინტერესებულ მკითხველს ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი დეტალი შეუძლია მოიძიოს კომენტარებში, რომელიც ეხება შეიარაღებული კონფლიქტის ამ კონკრეტულ ტიპს.¹⁴

ოკუპაცია

როდესაც ერთ-ერთი მეზობელი მხარე შეძლებს რომ მოწინააღმდეგე მხარეზე კონტროლი დაამყაროს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი უკვე ოკუპაციის სახეს იღებს.¹⁵ 1907 წლის ჰააგის რეგულაციების 42-ე მუხლის სიტყვები რომ მოვიშველიოთ „ტერიტორია ითვლება ოკუპირებულად, როდესაც ის რეალურად გადავა მოწინააღმდეგე ჯარის ძალაუფლების ქვეშ“ (ხაზგასმა ავტორისეულია). ამ დებულების მიზნებისათვის რომ დავადგინოთ ოკუპაციის ფაქტი ორი პირობა უნდა დაკმაყოფილდეს: (ა) ოკუპანტ ძალას უნდა შეეძლოს ეფექტიანი კონტროლის განხორციელება ტერიტორიაზე, რომელიც მას არ ეკუთვნის და (ბ) მის მიერ ტერიტორიის დაკავება ლეგიტიმური სუვერენის მიერ არ უნდა იყოს

¹² პირველი დამატებითი ოქმი, მუხლი 1(4).

¹³ ქვემოთ იხილეთ არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებული თავი. იხილეთ ასევე: M. Bothe, K.J. Partsch, W.A. Solf, *New Rules for Victims of Armed Conflicts*, Martinus Nijhoff, The Hague, 1982, გვ. 45–52.

¹⁴ უფრო ზუსტად იხილეთ, D. Schindler, სქოლიო 7, გვ. 133–144; Y. Sandoz et al. (eds), *Commentary on the Additional Protocols of 8 June 1977 to the Geneva Conventions of 12 August 1949*, ICRC/Martinus Nijhoff, Geneva/The Hague, 1987, პარაგრაფები 66–118; E. David, იხილეთ სქოლიო 7, გვ. 184–198.

¹⁵ ოკუპაციის შინაარსის უფრო დეტალური შესწავლისათვის იხილეთ: Y. Dinstein, *The International Law of Belligerent Occupation*, Cambridge University Press, Cambridge, 2009; R. Kolb, S. Vite, *Le droit de l'occupation militaire: perspectives historiques et enjeux juridiques actuels*, Bruylant, Brussels, 2009; Y. Arai-Takahashi, *The Law of Occupation: Continuity and Change of International Humanitarian Law, and its Interaction with International Human Rights Law*, Martinus Nijhoff, The Hague, 2009.

ნებადართული.¹⁶ ტერიტორიის ეფექტიანი კონტროლი, რომელიც ოკუპაციის ცნების ქვაკუთხედაა, გულისხმობს რომ ხელისუფლება უნდა იქნას ჩანაცვლებული. ეს პირობა სახეზეა მაშინ როდესაც პირველ რიგში განდევნილ მთავრობას აღარ აქვს უნარი რომ განახორციელოს ხელისუფლება და მეორე მხრივ ოკუპანტ ძალას აქვს შესაძლებლობა რომ შეავსოს ეს სივრცე თავისი ხელისუფლების დამყარების გზით.¹⁷ ეს მდგომარეობა პრინციპში მოიაზრებს რომ მოწინააღმდეგის ჯარები დაკავებულ ტერიტორიაზე უნდა განთავსდნენ და შეძლონ მინიმალური სტაბილურობის უზრუნველყოფა რათა აღასრულონ ოკუპაციის სამართლით მათზე დაკისრებული ვალდებულებები. რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს, რომელიც მოიაზრებს დაკავებული ტერიტორიის ლეგიტიმური სუვერენის თანხმობის არარსებობას, ეს საკმაოდ ფართოდ უნდა იყოს გაგებული. კერძოდ ტერიტორიის დაკავება არ არის შეზღუდული მხოლოდ იმ შემთხვევებით, როდესაც ხელისუფლების განდევნა შეიარაღებული მოქმედებების შედეგად ხდება. 1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მე-2(2) მუხლი ავსებს 1907 წლის ჰააგის რეგულაციებში მოცემულ დეფინიციას და აზუსტებს რომ შესაბამისი ნორმები იმოქმედებს მაშინაც კი, როდესაც ოკუპაციის დამყარებისას „სამხედრო წინააღმდეგობა არ გაუწევიათ“.

ზოგიერთ შემთხვევაში ტერიტორიის კონტროლი არ ხორციელდება პირდაპირ საოკუპაციო ძალების მიერ, არამედ მარიონეტული მთავრობების ან სხვა ფორმით დაქვემდებარებული ადგილობრივი ძალების მეშვეობით.¹⁸ თუმცა სირთულეებთანაა დაკავშირებული თითოეულ შემთხვევაში გავლენის ხარისხის შეფასება, რაც საჭიროა იმისათვის რომ მოცემული სცენარი დაკვალიფიცირდეს ოკუპაციად, იმდენად რამდენადაც ყველანაირი ჩარევა მესამე სახელმწიფოს შიდა საქმეებში ყოველთვის ოკუპაციას არ ნიშნავს. ადგილობრივ მმართველებსა და უცხო სახელმწიფოს შორის ურთიერთობა განსხვავებულად ინტენსიურია ხოლმე და დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე და ყოველთვის გულისხმობს ნაცვალგებით გავლენას - ან გარკვეული დონით კონსულტაციებსაც კი - გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამ საკითხის გადასაწყვეტად, ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ამ შემთხვევაშიც კვლავ „ზოგადი კონტროლის“ კრიტერიუმს იყენებს. ოკუპაცია სახეზეა, როდესაც სახელმწიფო ზოგადად აკონტროლებს ადგილობრივ მმართველებს, რომელთაც

¹⁶ უფრო კონკრეტულად იხილეთ: M. Bothe, 'Beginning and End of Occupation', *Current Challenges to the Law of Occupation, Proceedings of the Bruges Colloquium*, 20–21 October 2005, No. 34, Autumn 2004, გვ. 28–32. იხილეთ ასევე: E. Benvenisti, *The International Law of Occupation*, Princeton University Press, Princeton, 1993, გვ. 4. ავტორი ოკუპაციას განმარტავს, როგორც „მმართველის (ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორცაა გაერთიანებული ერები) მიერ ისეთი ტერიტორიის ეფექტიან კონტროლს, რომელზეც ამ მმართველ ძალას სუვერენული უფლება არ გააჩნია არც ამ ტერიტორიაზე სუვერენული უფლების მოპოვებისაკენ მიისწრაფვის.“

¹⁷ უფრო კონკრეტულად იხილეთ: United Kingdom Ministry of Defence, *The Manual of the Law of Armed Conflict*, Oxford University Press, Oxford, 2004, პარაგრაფი 11.3; ICJ, *Case concerning Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda)*, Judgment, ICJ Reports 2005, პარაგრაფი 173; ICTY, *Prosecutor v. Naletilic*, იხილეთ სქოლიო 4, პარაგრაფი 217; A. Roberts, 'What is Military Occupation?', *British Yearbook of International Law*, Vol. 55, 1984, გვ. 249 and 300.

¹⁸ იხილეთ United Kingdom Ministry of Defence, სქოლიო 17, პარაგრაფი 11.3.1. იხილეთ ასევე ICTY, *Prosecutor v. Tadic*, Case No. IT-94-1-T, Judgment (Trial Chamber), 7 May 1997, პარაგრაფი 584: 'დეფაქტო ორგანოებსა ან აგენტებსა და უცხო ძალებს შორის ურთიერთობა მოიცავს ისეთ გარემოებებსაც როდესაც ეს უცხო ძალა ახდენს ცალკეული ტერიტორიის „ოკუპაციას“ ან ოპერირებს ამ ტერიტორიაზე მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი დეფაქტო ორგანოების ან აგენტების მეშვეობით.' (ხაზგასმა ავტორისეულია).

რეალურად დამყარებული აქვთ ეფექტიანი კონტროლი მოცემულ ტერიტორიაზე.¹⁹ მსგავსი მოვლენა სახეზეა მთიან ყარაბაღში. ომის შემდეგ, რომელიც აზერბაიჯანის დამარცხებით დასრულდა 1994 წელს, აზერბაიჯანს აღარ აქვს შესაძლებლობა რომ განახორციელოს თავისი სუვერენიტეტი ამ ტერიტორიაზე მის სეცესიონისტ ძალებთან (რომლებსაც მხარს სომხეთის ჯარი უჭერდა). პრაქტიკაში ეს ტერიტორია იმართება (ტერიტორიის ეფექტიან კონტროლს ახორციელებს) „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის“ მიერ, რომელმაც ადგილობრივ დონეზე გამართულ რეფერენდუმზე დაყრდნობით 1992 წელს გამოაცხადა (თვითგამოცხადებული) დამოუკიდებლობა. თუმცაღა დღევანდელ დღემდე არც-ერთ სახელმწიფოს არ უღიარებია მოცემულ ტერიტორიაზე ამ ახალი მმართველის სუვერენიტეტი. გარდა ამისა, რამდენიმე ასპექტი ასევე მიუთითებს რომ ეს „რესპუბლიკა“ დაქვემდებარებულ კავშირშია სომხეთთან (ზოგადი კონტროლი). ამ რეგიონის სამხედრო დანაყოფებში სომხეთიდან მნიშვნელოვანი რაოდენობის ჯარისკაცები და ოფიცრები მსახურობენ. შესაბამისად სომხეთის როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ ლოგისტიკური მხარდაჭერით, არამედ მიუთითებს რომ მას აქვს თავისი ადგილი მთიან ყარაბაღში დაფუძნებული მმართველობის ორგანიზებაში, კოორდინაციასა და დაგეგმვაში. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ რომ ეს ტერიტორია *დე ფაქტო* იმყოფება ოკუპაციის ქვეშ.²⁰ შესაბამისად, ზოგადი კონტროლის ტესტი რომელიც უნდა გამოვიყენოთ იმის დასადგენად რომ მარიონეტული რეჟიმის მეშვეობით სახეზე გვაქვს თუ არა ოკუპაცია, ზუსტად იგივეა რა ტესტსაც ვიყენებთ იმის დასადგენად გასაერთაშორისოვდა თუ არა შიდა შეიარაღებული კონფლიქტი. ორივე შემთხვევაში ვაფასებთ იმ კონტროლის ინტენსივობის ხარისხს, რომელსაც იყენებს ერთი სახელმწიფო სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ დაჯგუფებასა თუ მმართველებთან მიმართებით.

არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი

ჰუმანიტარულ სამართალში არსებული არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ცნება უნდა გაანალიზდეს ორი ძირითადი სახელშეკრულებო ტექსტის - 1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლისა და 1977 წლის მეორე დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის - საფუძველზე. სტატიის ამ ნაწილში განხილულია თითოეული ამ დებულების ჭრილში თუ რა კრიტერიუმებია მოაზრებული და თუ როგორ შეიძლება ეს კრიტერიუმები განიმარტოს პრაქტიკის მიღებით. გარდა ამისა, არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ცნება ასევე განხილულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის დადგენის ჭრილშიც. მიზანშეწონილია მოკლედ შევხვით ამ საკითხის განხილვას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისი დებულებების გაანალიზების გზით.

¹⁹ ICTY, *Prosecutor v. Blaskic*, Case No. IT-95-14-T, Judgment (Trial Chamber), 3 March 2000, პარაგრაფი 149; ICTY, *Prosecutor v. Naletilic*, იხილეთ სქოლიო 4, პარაგრაფები 181–188, 197–202.

²⁰ უფრო კონკრეტულად იხილეთ: United Nations Security Council, Res. 884, 12 November 1993; United Nations General Assembly, Res. 62/243, 14 March 2008; Council of Europe Parliamentary Assembly, Res. 1416 (2005).

1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი

1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა „შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც არ არის საერთაშორისო ხასიათის და მიმდინარეობს ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.“²¹

ეს დებულება ნეგატიური წინადადებით იხსნება და მოიხსენიებს კონფლიქტს, „რომელიც არ არის საერთაშორისო ხასიათის.“ შესაბამისად, ეს დებულება არაპირდაპირ კვლავ საერთო მე-2 მუხლს უბრუნდება, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არეგულირებს სახელმწიფოებს შორის კონფლიქტს. შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც არ არის საერთაშორისო ხასიათის, მოიაზრებს ისეთ კონფლიქტებს, რომელშიც მინიმუმ ერთ-ერთი ჩართული მხარე არასამთავრობო ერთეულია. გააჩნია კონკრეტულ შემთხვევას, ასეთ დროს შეიარაღებული მოქმედებები შესაძლოა მიმდინარეობდეს ერთ (ან რამდენიმე) შეიარაღებულ დაჯგუფებასა და სამთავრობო ძალებს შორის ან მხოლოდ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის.²²

საერთო მე-3 მუხლი მოიაზრებს რომ „შეიარაღებული კონფლიქტი“ უკვე სახეზეა, ესე იგი სიტუაციამ უკვე მიაღწია იმ ზღვარს, რაც განასხვავებს მას ძალადობის სხვა ისეთი ფორმებისაგან, რომელთა შემთხვევაშიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არ მოქმედებს, კერძოდ „შიდა არეულობისა და დაძაბულობის სიტუაციები, როგორცაა ბუნტი, ძალადობის იზოლირებული და სპორადული აქტები ან მსგავსი ხასიათის სხვა ქმედებები“.²³ ინტენსივობის ზღვარი რაც ამ შემთხვევაშია საჭირო უფრო მაღალია, ვიდრე საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტისთვის დაწესებული ზღვარი. პრაქტიკაში, კერძოდ კი ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ დადგენილ პრაქტიკაში, მიიჩნევა რომ ეს ზღვარი მიღწეულია ყოველ ჯერზე, როდესაც მოცემული სიტუაცია შესაძლოა დაკვალიფიცირდეს, როგორც „განგრძობად შეიარაღებულ ძალადობად.“²⁴ ეს ფაქტობრივი მდგომარეობა კი უნდა დადგინდეს ორი ძირითადი საზომი კრიტერიუმით: (ა) ძალადობის ინტენსივობა და (ბ) მხარეთა ორგანიზებულობა.²⁵ არა-

²¹ საერთო მე-3 მუხლის 1-ლი აბზაცი.

²² იხილეთ ICTY, *Prosecutor v. Tadic*, Decision on the Defence Motion for Interlocutory Appeal on Jurisdiction, სქოლიო 10, პარაგრაფი 70.

²³ მეორე დამატებითი ოქმი, მუხლი 1(2). მიუხედავად იმისა რომ ეს ფრაზა მეორე საერთო ოქმიდანაა აღებულია, მიჩნეულია რომ ეს ზღვარი ასევე მოქმედებს საერთო მე-3 მუხლით დაფარულ კონფლიქტებთან მიმართებაშიც. იხილეთ: ICRC, *How is the term 'Armed Conflict' defined in international humanitarian law?*, Opinion Paper, March 2008, გვ. 3. იხილეთ ასევე ICTY, *Prosecutor v. Limaj*, Case No. IT-03-66-T, Judgment (Trial Chamber), 30 November 2005, პარაგრაფი 84.

²⁴ ICTY, *Prosecutor v. Tadic*, Decision on the Defence Motion for Interlocutory Appeal on Jurisdiction, იხილეთ სქოლიო 10, პარაგრაფი 70.

²⁵ იხილეთ ICTY, *Prosecutor v. Tadic*, Judgment (Trial Chamber), სქოლიო 18, პარაგრაფი 561–568, განსაკუთრებულად პარაგრაფი 562. იხილეთ ასევე: ICTY, *Prosecutor v. Limaj*, სქოლიო 23, პარაგრაფი 84; ICTY, *Prosecutor v. Boskoski*, Case No. IT04-82, Judgment (Trial Chamber), 10 July 2008, პარაგრაფი 175. ამის შემდეგ ამ კრიტერიუმებს სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებიც იყენებდნენ. უფრო კონკრეტულად იხილეთ, International Criminal Tribunal for Rwanda (ICTR), ICTR, *Prosecutor v. Rutaganda*, Case No. ICTR-96-3, Judgment (Trial Chamber I), 6 December 1999, პარაგრაფი 93; International Commission of Inquiry on Darfur, *Report Pursuant to Security Council Resolution 1564 of 18 September 2004*, 25 January 2005, პარაგრაფი 74–76. *Haradinaj*-ის საქმეში ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილმა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა ოდნავ განსხვავებული პოზიცია შეიმუშავა და განაცხადა რომ „განგრძობითი შეიარაღებული ძალადობის“ ცნება ფართოდ უნდა იქნეს გაგებული. ის არ მოიცავს მხოლოდ ძალადობის

საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ცნების ამ ორი კომპონენტის ახსნა აბსტრაქტულად შეუძლებელია და ისინი უნდა დადგინდეს ყველა შემთხვევაში ცალ-ცალკე შესაბამის მონაცემებზე დაყრდნობით.²⁶ ინტენსივობის კრიტერიუმთან მიმართებით, ეს მონაცემი შეიძლება იყოს, მაგალითად, ბრძოლების კოლექტიური ბუნება ან ის ფაქტი რომ სახელმწიფოს უკვე უწევს რომ გამოიყენოს საჯარისო შენაერთები (სამხედროები), რადგან მისი საპოლიციო ძალები აღარაა საკმარისი სიტუაციასთან გასამკლავებლად. ისეთი ინფორმაცია, როგორცაა კონფლიქტის ხანგრძლივობა, ძალადობრივი აქტებისა და სამხედრო ოპერაციების სიხშირე, გამოყენებული იარაღის ბუნება, სამოქალაქო პირთა იძულებითი გადაადგილების ფაქტები, ოპოზიციური ძალების მიერ ტერიტორიის კონტროლი და მსხვერპლთა (გარდაცვლილი, დაჭრილი, იძულებით გადაადგილებული პირი და სხვა) რაოდენობა, ასევე მხედველობაშია მისაღები როდესაც ძალადობის ინტენსივობას ვადგენთ.²⁷ აღსანიშნავია რომ ეს არის ისეთი ფაქტორების ჩამონათვალი, რომელიც გვამღვებს შესაძლებლობას ყოველ განსახილველ შემთხვევაში შევაფასოთ და დავადგინოთ ინტენსივობის ზღვარი. ამისათვის არაა აუცილებელი რომ ყველა ეს ფაქტორი ერთად იყოს სახეზე. ხოლო რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს, ისინი ვინც ჩართულნი არიან შეიარაღებულ კონფლიქტში აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ორგანიზებულობის მინიმალური ხარისხი. სამთავრობო ძალებთან მიმართებით მოქმედებს პრეზუმფცია რომ ისინი თავისთავად აკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეფასების გარეშე.²⁸ ხოლო რაც შეეხება არასახელმწიფო შეიარაღებულ დაჯგუფებებს, მათი ორგანიზებულობის ხარისხის დასადგენად შესაძლოა მხედველობაში იქნეს მიღებული მაგალითად ორგანიზებული წყობა, რომელიც მიუთითებს მმართველობით სტრუქტურაზე, სხვადასხვა დანაყოფების მეშვეობით ოპერაციების

ხანგრძლივობას, არამედ მოიაზრებს ყველა იმ ასპექტს, რომელიც ინტენსივობის ხარისხის შეფასების საშუალებას შეიძლება იძლეოდეს. (ICTY, *Prosecutor v. Haradinaj*, Case No. IT-04-84-T, Judgment (Trial Chamber), 3 April 2008, პარაგრაფი 49. ამ საკითხზე დოქტრინალური მსჯელობისათვის იხილეთ: A. Cullen, above note 4, გვ. 179 ff.

²⁶ ICTY, *Prosecutor v. Haradinaj*, იხილეთ სქოლიო 25, პარაგრაფი 49; ICTR, *Prosecutor v. Rutaganda*, იხილეთ სქოლიო 25, პარაგრაფი 93. პიტე, ჟენევის კონვენციების მისეულ კომენტარში მინიშნებისათვის გვთავაზობს კრიტერიუმთა სერიას, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნეს ასეთი შეფასების პროცესში. (იხილეთ: Pictet, სქოლიო 6, გვ. 49–50).

²⁷ იხილეთ R. Pinto (rapporteur), 'Report of the Commission of experts for the study of the question of aid to the victims of internal conflicts', *International Review of the Red Cross*, February 1963, განსაკუთრებულად გვ. 82– 83: „საერთო მე-3 მუხლით გათვალისწინებული შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის უარყოფა ვერ მოხდება, თუკი ადგილობრივი მთავრობის წინააღმდეგ მიმართული საბრძოლო მოქმედება კოლექტიური ხასიათისაა და მოიცავს ორგანიზებულობის მინიმალურ ფარგლებს. ამასთან მიმართებაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტორები (რომლებიც მაინცდამაინც კუმულატიურად არ უნდა გავიგოთ) კონფლიქტის ხანგრძლივობა, აჯანყებული დაჯგუფებების რაოდენობა და სტრუქტურა, მათი განლაგება კონკრეტულ ტერიტორიაზე ან ამ ტერიტორიიდან მოქმედება, საფრთხის დონე, მსხვერპლთა არსებობა, ლეგიტიმური მთავრობის მიერ წესრიგის აღსადგენად გამოყენებული ზომები და სხვა.“ ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ თავის პრეცედენტულ სამართალში შემუშავებული მიმანიშნებელი ფაქტორების განსახილველად იხილეთ: ICTY, *Prosecutor v. Boskoski*, სქოლიო 25, პარაგრაფი 177. იხილეთ ასევე: ICTY, *Prosecutor v. Limaj*, სქოლიო 23, პარაგრაფი 168; ICTY, *Prosecutor v. Haradinaj*, სქოლიო 25, პარაგრაფი 49.

²⁸ ICTY, *Prosecutor v. Haradinaj*, იხილეთ სქოლიო 25, პარაგრაფი 60.

განხორციელების ძალაუფლება, ახალი მებრძოლების მიღებისა და მომზადების შესაძლებლობა ან შიდა წესების არსებობა.²⁹

როდესაც ზემოთ აღნიშნული ორი ელემენტიდან ერთ-ერთი მაინც არაა სახეზე, სიტუაცია დაკვალიფიცირდება როგორც შიდა არეულობა ან შიდა დამაბულობა. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ეს ორი ცნება (შიდა არეულობა და შიდა დამაბულობა), რომლებიც გამოიყენება ისეთი საზოგადოებრივი მღელვარების აღსანიშნავად, რომელიც არ უტოლდება შეიარაღებულ კონფლიქტს, არასოდეს ყოფილა განმარტებული სამართლებრივად, მიუხედავად იმისა რომ ორივე მათგანი პირდაპირაა მოხსენიებული მეორე დამატებით ოქმში.³⁰ ამ ინსტრუმენტის შესაქმნელად მოსამზადებელი სამუშაოებისას გამოყენებულ თემატურ დოკუმენტში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მიიჩნევდა, რომ შიდა არეულობები მოიცავს ისეთ სიტუაციებს, როდესაც „არა-საერთაშორისო კონფლიქტი, როგორც ასეთი, სახეზე არ გვაქვს, მაგრამ ქვეყნის შიგნით მიმდინარეობს დაპირისპირება, რომელიც ხასიათდება გარკვეული სერიოზულობით ან ხანგრძლივობით და რომელიც მოიცავს ძალადობრივ აქტებს. ეს უკანასკნელი შესაძლოა გამოიხატებოდეს სხვადასხვა ფორმით, აჯანყების სპონტანური მოწყობიდან დაწყებული, მეტნაკლებად ორგანიზებულ დაჯგუფებებს შორის ან ასეთ დაჯგუფებასა და ხელისუფლებაში მყოფ ძალებს შორის საბრძოლო მოქმედებებით. ასეთ სიტუაციებში, რომლებიც ყოველთვის ღია სამხედრო ბრძოლაში არ გადაიზრდება ხოლმე, მთავრობები მიმართავენ გადაჭარბებული საპოლიციო ძალების ან სულაც სამხედრო ძალების გამოყენებას რათა აღადგინონ საჯარო წესრიგი.“³¹ ხოლო რაც შეეხება შიდა დამაბულობას, ეს მოიცავს უფრო ნაკლებად ძალადობრივ მოვლენებს როგორცაა მაგალითად მასობრივი დაკავებები, დიდი რაოდენობით „პოლიტიკური“ პატიმრების არსებობა ქვეყანაში, წამება ან სხვა არასათანადო მოპყრობა, იძულებითი გაუჩინარება და / ან პირთათვის ფუნდამენტური სამართლებრივი გარანტიების ჩამორთმევა.³²

და ბოლოს, საერთო მე-3 მუხლი გამოიყენება იმ კონფლიქტებში, რომლებიც „მიმდინარეობს ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე“. ამ ელემენტის მნიშვნელობა შესაძლოა წინააღმდეგობრივი იყოს. უნდა იყოს თუ არა ეს გაგებული იმგვარად რომ ეს პირობა გამორიცხავს ისეთ არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს,

²⁹ ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ თავის პრეცედენტულ სამართალში შემუშავებული მიმანიშნებელი ფაქტორების განსახილველად იხილეთ: ICTY, *Prosecutor v. Boskoski*, სქოლიო 25, პარაგრაფები 199–203. იხილეთ ასევე: ICTY, *Prosecutor v. Limaj*, სქოლიო 23, პარაგრაფები 94–134; ICTY, *Prosecutor v. Haradinaj*, სქოლიო 25, პარაგრაფი 60.

³⁰ მეორე დამატებითი ოქმი, მუხლი 1(2).

³¹ ICRC, *Protection of Victims of Non-International Armed Conflicts*, Document presented at the Conference of government experts on the reaffirmation and development of international humanitarian law applicable in armed conflicts, Vol. V, Geneva, 24 May–12 June 1971, გვ. 79. ეს დეფინიცია ასევე გვხვდება დამატებითი ოქმების კომენტარებში. იხილეთ: Y. Sandoz et al. (eds), სქოლიო 14, პარაგრაფი 4475.

³² Y. Sandoz et al. (eds), იხილეთ სქოლიო 14, პარაგრაფი 4476. შიდა არეულობებისა და შიდა დამაბულობების უფრო დეტალური განმარტებისათვის განსაკუთრებულად იხილეთ: A. Eide, 'Internal Disturbances and Tensions', *International Dimensions of Humanitarian Law*, UNESCO, Paris, 1988, გვ. 279–295; H.-P. Gasser, 'Humanitarian Standards for Internal Strife – A Brief Review of New Developments', *International Review of the Red Cross*, No. 294, May–June 1993, გვ. 221–226; F. Ni Aolain, 'The Relationship between Situations of Emergency and Low-Intensity Armed Conflict', *Israel Yearbook on Human Rights*, Vol. 28, 1998, გვ. 97–106; R. Abi-Saab, 'Le droit humanitaire et les troubles internes', *Liber Amicorum Georges Abi-Saab*, Martinus Nijhoff, The Hague, 2001, გვ. 477–493.

რომლებიც ორი ან მეტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს, თუ ეს უბრალოდ საერთო მე-3 მუხლის მოქმედების სფეროს ხაზგასმისთვისაა მოცემული? ამ უკანასკნელი მსჯელობის მიხედვით მიიჩნევა რომ ეს კონკრეტული ელემენტი იმისათვის მოხვდა ტექსტში რომ ცხადი ყოფილიყო რომ საერთო მე-3 მუხლი გამოიყენება მხოლოდ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტში, რომელსაც რატიფიცირებული აქვს 1949 წლის ჟენევის კონვენციები. როგორც ქვემოთ ვნახავთ რომ უმჯობესია მუხლის სწორედ ამგვარი განმარტებისაკენ გადახრა.³³

ზოგიერთი ავტორი არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ცნებას დამატებით ელემენტსაც მიაწერს. მათი მსჯელობის მიხედვით, არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კვალიფიკაციისათვის მხედველობაში ასევე უნდა იქნეს მიღებული კონფლიქტში ჩართული არასახელმწიფო დაჯგუფების ქმედებების მოტივები. აქედან გამომდინარე, ამგვარი ტიპის კონფლიქტებად მიჩნეული იქნება მხოლოდ ისეთი შემთხვევები, რომელში ჩართულ დაჯგუფებებსაც პოლიტიკური მიზნის მიღწევისკენ სწრაფვა ამოძრავებთ. „წმინდად დანაშაულებრივი“ ორგანიზაციები, როგორცაა მაგალითად მაფიოზური დაჯგუფებები ან ადგილობრივი ბანდები, შესაბამისად ამოირიცხებიან ასეთი კატეგორიის კონფლიქტებიდან და ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნებიან განხილული არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებად.³⁴ თუმცა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანამედროვე ეპოქაში ამ დამატებითი ელემენტის სამართლებრივი საფუძველი უკვე აღარ არსებობს. ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილ სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალს ჰქონდა შესაძლებლობა ამ საკითხზე გაემახვილებინა ყურადღება, როდესაც განიხილავდა იმ ბრძოლების სამართლებრივ ბუნებას, რომელიც მიმდინარეობდა 1998 წელს სერბულ ძალებსა და კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიას შორის. *ლიმის* საქმეში, დაცვის მხარემ სადავოდ გახადა საკითხი იმის შესახებ შეიძლება თუ არა განსახილველი ბრძოლების დაკვალიფიცირება შეიარაღებულ კონფლიქტად იმდენად რამდენადაც სერბული ძალების მიერ ჩატარებული ოპერაციების მიზანი არ ყოფილა მოწინააღმდეგე ჯარის დამარცხება, არამედ კოსოვოში „ეთნიკური წმენდის“ ჩატარება. ტრიბუნალმა უარყო ეს არგუმენტი და კონკრეტულად მიუთითა რომ „შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დადგენა ხდება მხოლოდ და მხოლოდ ორ კრიტერიუმზე დაყრდნობით. ეს კრიტერიუმებია: კონფლიქტის ინტენსივობა და მხარეთა ორგანიზებულობა, *შეიარაღებული ძალების მიერ ძალადობრივ ქმედებებში ჩაბმის მიზნები, ან ასევე სხვა ნებისმიერი მიზანი რაც მათ შეიძლება ამოძრავებდეთ, არარელევანტურია*“ (ხაზგასმა ავტორისეულია).³⁵ საპირისპირო პოზიცია კვალიფიკაციასთან დაკავშირებით დამატებით ისეთ პრობლემებს წამოწევდა, რომელთა გადაჭრაც პრაქტიკაში საკმაოდ რთული იქნებოდა. შეიარაღებული ჯგუფების მოტივი ყოველთვის ერთნაირი არაა და ხშირად

³³ იხილეთ ქვემოთ ამ სტატიის ქვეთავი „ექსპორტირებული“ არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების შესახებ.

³⁴ მაგალითისათვის ბრუდერლეინი ამტკიცებს, რომ შეიარაღებული დაჯგუფებისათვის ძირითადი მახასიათებლები უნდა იყოს (ა) ძირითადი მმართველობითი სტრუქტურა; (ბ) ძალადობის გამოყენება პოლიტიკური მიზნებით; (გ) სახელმწიფოს კონტროლისაგან თავისუფალი ქმედებები. (C. Bruderlein, *The Role of Non-state Actors in Building Human Security: The case of Armed Groups in Intra-state Wars*, Centre for Humanitarian Dialogue, Geneva, May 2000). იხილეთ ასევე: D. Petrasek, *Ends and Means: Human Rights Approaches to Armed Groups*, International Council on Human Rights Policy, Geneva, 2000, გვ. 5.

³⁵ ICTY, *Prosecutor v. Limaj*, იხილეთ სქოლიო 23, პარაგრაფი 170.

მკაფიოდ გამოკვეთილიც არაა. ბევრი მათგანი ხშირად ისეთ დანაშაულებრივ ქმედებებს ჩადის, როგორცაა დაშინება ან ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, და ამავდროულად ასევე იბრძვიან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ხანდახან პირიქითაც, დანაშაულებრივი ორგანიზაციები თავიანთი ძირითადი მიზნების გარდა, ასევე ახორციელებენ ძალაუფლებას პოლიტიკის სფეროშიც ან იშვიათ შემთხვევაში მოსახლეობასაც კი აკონტროლებენ.

მეორე დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი

მეორე დამატებითი ოქმი მოქმედებს ისეთი არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს, რომლებიც „მიმდინარეობს მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მის შეიარაღებულ ძალებსა და აჯანყებულ შეიარაღებულ ძალებსა ან სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ დაჯგუფებას შორის, რომლებიც მოქმედებენ პასუხისმგებელი მეთაურობის ქვეშ, ახორციელებენ კონტროლს მხარის ტერიტორიის ნაწილზე ისე რომ ეძლევათ შესაძლებლობა განახორციელონ განგრძობითი და კონკრეტული სამხედრო ოპერაციები და დაიცვან ეს ოქმი.“ თუმცა ეს ინსტრუმენტი არ გამოიყენება ეროვნულ განმათავისუფლებელი ომების დროს, რომლებიც პირველი დამატებითი ოქმის 1(4)-ლი მუხლის მიხედვით გაიგივებულია საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტთან. როგორც ეს საერთო მე-3 მუხლის შემთხვევაშია მოაზრებული, მეორე დამატებითი ოქმით გათვალისწინებული არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი სახეზეა მხოლოდ მაშინ როდესაც სიტუაცია აღწევს ძალადობის ისეთ ხარისხს, რომელიც გამოარჩევს მას შიდა დამაბულობის ან არეულობის შემთხვევებისაგან.³⁶ გარდა ამისა, ეს ინსტრუმენტი ასევე ითვალისწინებს საერთო მე-3 მუხლთან შედარებით უფრო ვიწრო მოქმედების ფარგლებს. ის მოითხოვს რომ არასახელმწიფო ძალებს ჰქონდეთ ორგანიზებულობის განსაკუთრებულად მაღალი ხარისხი, კერძოდ ისინი უნდა იმყოფებოდნენ „პასუხისმგებელი მეთაურობის ქვეშ“ და ახორციელებდნენ ტერიტორიის კონტროლს ისე რომ საშუალება ჰქონდეთ „განახორციელონ განგრძობითი და კონკრეტული სამხედრო ოპერაციები და დაიცვან ეს ოქმი.“³⁷ საერთო მე-3 მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ მოიაზრებს შეიარაღებული დაჯგუფებების ორგანიზებულობის გარკვეულ ხარისხს, არ მოითხოვს რომ ამ დაჯგუფებებს შეეძლოთ ტერიტორიის ნაწილის კონტროლი. აქედან გამომდინარე, პრაქტიკაში შესაძლოა მოხდეს შემთხვევა, როდესაც კონფლიქტი მოხდება საერთო მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში, ისე რომ ვერ აკმაყოფილებდეს მეორე დამატებითი ოქმით დადგენილ მოთხოვნებს. ხოლო საპირისპირო შემთხვევაში კი, ყველა შეიარაღებული კონფლიქტი რომელიც მოხდება მეორე დამატებითი ოქმის მოქმედების ქვეშ ავტომატურად ხვდება საერთო მე-3 მუხლის გამოყენების ფარგლებშიც.

პრაქტიკაში ხანდახან რთულია ისეთი სიტუაციების იდენტიფიცირება, რომელიც აკმაყოფილებს მეორე დამატებითი ოქმის გამოსაყენებლად დადგენილ კრიტერიუმებს. მაგალითისათვის, ტერიტორიის კონტროლის მოთხოვნილი დონე შესაძლოა სხვადასხვაგვარად იქნას აღქმული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. თუკი ფართო განმარტებას გამოვიყენებთ, მაშინ მეორე დამატებითი ოქმში მოცემული არა-საერთაშორისო

³⁶ მეორე დამატებითი ოქმი, მუხლი 1(2).

³⁷ მეორე დამატებითი ოქმი, მუხლი 1(1). ამ საკითხზე იხილეთ M. Bothe, K.J. Partsch, W.A. Solf, სქოლიო 13, გვ. 626 ff.

შეიარაღებული კონფლიქტის ცნება დაუახლოვდება საერთო მე-3 მუხლში მოცემულ არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ცნებას. დროებითი ტერიტორიული კონტროლიც კი, რომელიც მხოლოდ გეოგრაფიული არეალის კონტროლს მოიაზრებს, საკმარისი უნდა იყოს იმისათვის რომ ამოქმედდეს მეორე დამატებითი ოქმი.³⁸ ხოლო თუკი პირიქით, მეორე დამატებითი ოქმის 1(1)-ელ მუხლს ვიწროდ განვმარტავთ, ამ მუხლის ქვეშ უნდა მოიაზრებოდეს მხოლოდ ისეთი სიტუაციები, როდესაც არასახელმწიფო დაჯგუფება ტერიტორიის სახელმწიფოს მსგავს კონტროლს ახორციელებს და კონფლიქტის ბუნებაც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის იდენტურია.³⁹ დამატებითი ოქმების კომენტარებში, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი უფრო შუალედურ პოზიციას მიჰყვება და ამბობს რომ ტერიტორიული კონტროლი ხანდახან შესაძლოა იყოს „შეფარდებითი, როდესაც ურბანული ცენტრები სამთავრობო ძალების ხელში რჩება, მაგრამ გარეუბნები გასულია მათი კონტროლიდან.“⁴⁰ თუმცა კომენტარები მაინც ამატებს რომ, მეორე დამატებით ოქმში მოცემული ვალდებულებების ბუნება გულისხმობს რომ „თუნდაც პატარა ტერიტორიის დაკავებისას, ამ ტერიტორიის სტაბილურად კონტროლის გარკვეული ხარისხი უნდა იყოს სახეზე.“⁴¹

მეორე დამატებითი ოქმი ასევე ზღუდავს თავისი მოქმედების ფარგლებს და მოიაზრებს მხოლოდ ისეთ შეიარაღებულ კონფლიქტებს, რომლებიც მიმდინარეობს სამთავრობო ძალებსა და აჯანყებულ შეიარაღებულ ძალებს ან სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ დაჯგუფებას შორის. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საერთო მე-3 მუხლისაგან განსხვავებით, რომელიც ამგვარ შეზღუდვას არ შეიცავს, მეორე დამატებითი ოქმი არ გამოიყენება ისეთ კონფლიქტებში, რომლებიც მხოლოდ არასახელმწიფო დაჯგუფებებს შორის მიმდინარეობს.⁴²

და ბოლოს, მეორე დამატებითი ოქმი იმეორებს საერთო მე-3 მუხლში უკვე გადმოცემულ *ratione loci* კრიტერიუმს, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს დებულება ვრცელდება მხოლოდ ისეთ არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტზე, რომელიც „მიმდინარეობს ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე“. ამ თემაზე ზემოთ ჩამოყალიბებული მსჯელობა ასევე მოცემულ სიტუაციაზეც გამოიყენება. ოქმი ასევე მიუთითებს რომ მასში მოცემული კონფლიქტი არის მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტი, „მის“ შეიარაღებულ ძალებსა და ოპოზიციურ მოძრაობებს შორის. ამ პასაჟის ვიწრო გაგებით წაკითხვა მიგვიყვანდა იმგვარ განმარტებამდე, რომ ეს ოქმი არ გამოიყენება იმ შემთხვევებზე, როდესაც სამთავრობო ჯარები შედიან უცხო სახელმწიფოში ადგილობრივი ხელისუფლების მხარდასაჭერად და იქ ებრძვიან

³⁸ მომტაზი მიიჩნევს, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარისათვის არაა აუცილებელი რომ სახელმწიფოს მსგავსი სტრუქტურა ჰქონდეს. ის ასევე დასძენს, რომ ტერიტორიული კონტროლის კრიტერიუმში უნდა შეფასდეს დაკისრებული ვალდებულებების ბუნების ჭრილში. ზოგიერთი ამ ვალდებულებების კონტექსტში, მაგალითად როგორცაა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა, „ტერიტორიის ნაწილის კონტროლი საჭირო აღარ არის.“ (D. Momtaz, 'Le droit international humanitaire applicable aux conflits armés non internationaux', *The Hague Academy Collected Courses*, No. 292, 2002, გვ. 50, ICRC translation).

³⁹ L. Moir, *The Law of Internal Armed Conflict*, Cambridge University Press, Cambridge, 2002, გვ. 106.

⁴⁰ Y. Sandoz et al. (eds), იხილეთ სქოლიო 14, პარაგრაფი 4467.

⁴¹ იქვე.

⁴² იქვე, პარაგრაფი 4461; Bothe, Partsch and Solf, იხილეთ სქოლიო 13, გვ. 627.

არასახელმწიფო დაჯგუფებებს. ასეთ შემთხვევაში კონფლიქტში ჩართული ძალები არ განეკუთვნება იმ სახელმწიფოს სამხედრო ძალებს, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობს კონფლიქტი. თუმცა, ჰუმანიტარული სამართლის სულისკვეთებით განმსჭვალული განმარტების მიხედვით, ფრაზა „მისი შეიარაღებული ძალები“ ამ შემთხვევაში უნდა აღვიქვათ არა მხოლოდ ტერიტორიული სახელმწიფოს ჯარად, არამედ სხვა ნებისმიერი სახელმწიფოს ჯარებადაც, რომლებიც ტერიტორიული სახელმწიფოს მთავრობის სახელით ჩაერთვებიან კონფლიქტში.

მეორე დამატებითი ოქმით შემოტანილ ახალ ელემენტებთან მიმართებაში აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ ინსტრუმენტმა გააფართოვა და შეავსო საერთო მე-3 მუხლი, მაგრამ არ შეუცვლია მისი მოქმედების წინაპირობები.⁴³ შესაბამისად, მეორე დამატებითი ოქმის 1(1)-ელ მუხლში მოცემული დამატებითი შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ ამ ოქმის მოქმედების სფეროს განსასაზღვრად და არ ვრცელდება მთლიანად არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალზე. აქედან გამომდინარე, საერთო მე-3 მუხლი მაინც ინარჩუნებს საკუთარ ავტონომიურობას და მოიცავს უფრო მრავალფეროვან სიტუაციებს.⁴⁴

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება (რომის სტატუტი)

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება განასხვავებს დანაშაულების ორ კატეგორიას, რომელიც ხდება „შეიარაღებულ კონფლიქტში, რომელიც არაა საერთაშორისო ხასიათის“: (ა) საერთო მე-3 მუხლის სერიოზული დარღვევები, და (ბ) სხვა სერიოზული დარღვევები ომის იმ წესებისა და ჩვეულებების, რომლებიც მოქმედებს ამ სიტუაციებში.⁴⁵ ორივე შემთხვევისათვის, რომის სტატუტი მიუთითებს ამ დებულებების გამოყენების ყველაზე დაბალ დონეს და აცხადებს რომ ეს დებულებები არ მოქმედებს „შიდა არეულობების ან დამაბულობის, როგორცაა ბუნტი, ძალადობის იზოლირებული და სპორადული აქტები და სხვა მსგავსი ქმედებების“ შემთხვევაში.⁴⁶ გარდა ამისა, იმდენად რამდენადაც სტატუტი არ იძლევა იმ დებულებების მოქმედების ფარგლების უფრო ზუსტ დეფინიციას, რომლებიც გამოიყენება „საერთო მე-3 მუხლის სერიოზული დარღვევების“ დროს (საუბარია რომის სტატუტის მე-8(2)(d) მუხლზე), ის აზუსტებს არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ცნებას „სხვა სერიოზული დარღვევების“ მომწესრიგებელ დებულებებთან მიმართებაში. რომის სტატუტის მე-8(2)(f) მუხლი მიუთითებს რომ ამ დებულების წესები გამოიყენება „იმ შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც მიმდინარეობს სახელმწიფოს ტერიტორიაზე როდესაც სახეზეა განგრძობითი შეიარაღებული კონფლიქტი სამთავრობო ძალებსა და

⁴³ მეორე დამატებითი ოქმი, მუხლი 1(1).

⁴⁴ Y. Sandoz et al. (eds), იხილეთ სქოლიო 14, პარაგრაფი 4454; L. Moir, იხილეთ სქოლიო 39, გვ. 101.

⁴⁵ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება (რომის სტატუტი), მუხლები 8(2)(c) და (e), შესაბამისად.

⁴⁶ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება (რომის სტატუტი), მუხლები 8(2)(d) და (f), შესაბამისად.

ორგანიზებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის ან ასეთ დაჯგუფებებს შორის.⁴⁷ ამის შემდგომ წარმოიშობა შეკითხვა: სპეციფიკურად ხანგრძლივობის კრიტერიუმის ხაზგასმით („განგრძობითი შეიარაღებული კონფლიქტი“), მე-8 მუხლის მე-(2)(f) პარაგრაფი ხომ არ აზუსტებს მე-(2)(d) პარაგრაფის პირობებს ცალკე კატეგორიის კონფლიქტის აღიარების გარეშე, თუ ეს პარაგრაფი გვთავაზობს არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ახალ, განსხვავებულ ტიპს და შესაბამისად განსაზღვრავს [სამართლებრივი ნორმების] მოქმედების ახალ ფარგლებს. ეს შეკითხვა დღემდე წინააღმდეგობებით სავსე საკითხად რჩება და ბოლომდე გადაწყვეტილი არც არის.

ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს რომ ეს ორი პარაგრაფი ერთი და იმავე სიტუაციას მოიაზრებს.⁴⁸ კონკრეტულად კი, ისინი მიიჩნევენ რომ რომის სტატუტის შემქმნელების განზრახვა არ ყოფილა არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ახალი კატეგორიის გაჩენა. არამედ, მე-(2)(f) პარაგრაფში, ხანგრძლივობაზე ხაზგასმის მიზანი იყო რომ თავიდან აცილებულიყო მეორე დამატებითი ოქმის შემზღვევლი ბუნების რომის სტატუტში გადმოტანა. ეს გარკვეულწილად ჩაითვალა როგორც კომპრომისი თავდაპირველ ორიგინალ ტექსტსა (რომელიც არ შეიცავდა არანაირ განსხვავებას მე-(2)(d) და მე-(2)(f) პარაგრაფებს შორის) და მეორე დამატებითი ოქმის შეზღუდვების რომის სტატუტის მე-8 მუხლის მე-2 პარაგრაფში გადმოტანის მოსურნე ზოგიერთი სახელმწიფოს სურვილებს შორის.⁴⁹ ამას გარდა, ამ პოზიციის მომხრეები აცხადებენ რომ განსახილველი დებულებების მათეული განმარტება ერთადერთია, რომელიც შეესაბამება ჩვეულებით სამართალს, რომელიც არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სხვადასხვა ტიპებს შორის განსხვავებას საერთოდ არ იცნობს.

⁴⁷ ეს დეფინიცია ემყარება ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის პრეცედენტულ სამართალს, რომელმაც მიიჩნია, რომ „შეიარაღებული კონფლიქტი სახეზეა მაშინ როდესაც გვაქვს სახელმწიფოებს შორის ძალის გამოყენება ან *განგრძობითი შეიარაღებული ძალადობა* სამთავრობო ძალებსა და ორგანიზებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის ან ასეთ დაჯგუფებებს შორის სახელმწიფოს შიგნით.“ (ICTY, *Prosecutor v. Tadic*, Decision on the Defence Motion for Interlocutory Appeal on Jurisdiction, იხილეთ სქოლიო 11, პარაგრაფი 70) (ხაზგასმა ავტორისეულია).

⁴⁸ T. Meron, 'The Humanization of Humanitarian Law', *American Journal of International Law*, Vol. 94, 2000, გვ. 260; M. Bothe, 'War Crimes', in A. Cassese et al. (eds), *The Rome Statute of the International Criminal Court: A Commentary*, Oxford University Press, Oxford, 2002, გვ. 423; A. Cullen, 'The Definition of Non-international Armed Conflict in the Rome Statute of the International Criminal Court: An Analysis of the Threshold of Application Contained in Article 8(2)(f)', *Journal of Conflict and Security Law*, Vol. 12, No. 3, 2007, გვ. 445.

⁴⁹ მე-(2)(f) პარაგრაფის ფორმულირება სიერა ლეონეს ინიციატივის შედეგია, რომლის მიზანიც იყო მოძებნილიყო კომპრომისი იმ დელეგაციების პოზიციებს შორის, რომლებიც ემხრობოდნენ არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს გამოსაყენებელი ომის დანაშაულების სიის ჩასმას სტატუტში და იმ დელეგაციებს პოზიციებს შორის, რომლებიც ამის წინააღმდეგი იყვნენ. გაფართოებული კომიტეტის ბიუროს მიერ ამ მიმართულებით შემოთავაზებული თავდაპირველი ვარიანტი ითვალისწინებდა მე-(2)(e) პარაგრაფში მოცემული დანაშაულების მოქმედების შეზღუდვას მეორე დამატებითი ოქმის 1(2)-ელ მუხლში მოყვანილი კრიტერიუმების სტატუტში გადმოტანის გზით (A/CONF.183/C.1/L.59). რადგანაც ამ შემოთავაზებაზე მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, სიერა ლეონემ წამოაყენა წინადადება ტექსტის იმ სახით მიღებაზე, როგორც საბოლოოდ დარჩა სტატუტში. ამ წინადადების მიზანი იყო რომ განმუხტულიყო სიტუაცია იმ დელეგაციებთან, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალში ომის დანაშაულების გაჩენას და ამავდროულად თავიდან არიდებულიყო იმ მაღალი ზღვარის დაწესება, რაც მეორე დამატებით ოქმშია მოცემული (A/CONF.183/C.1/SR.35, პარაგრაფი 8). იხილეთ: A. Cullen, სქოლიო 48, გვ. 419–445.

ამ მოსაზრების საპირისპიროდ, სხვა ავტორები⁵⁰ ამტკიცებენ, რომ თუკი მე-2(d) პარაგრაფში მოცემული არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ცნება პირდაპირ საერთო მე-3 მუხლზე უთითებს, მაშინ მე-2(f) პარაგრაფში მოცემული ცნება ამატებს მხოლოდ დროის კრიტერიუმს. რაც ნიშნავს, რომ მე-2(f) პარაგრაფის მიზნებისათვის არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი მაშინაა სახეზე, როდესაც ასეთი კონფლიქტი „განგრძობადია“. გამოდის რომ, მე-2(d) პარაგრაფის გადმოსახედიდან, კონფლიქტის ხანგრძლივობა შესაძლოა მხედველობაში იქნეს მიღებული მხოლოდ სიტუაციის შესაფასებლად და არა სავალდებულო მაკვალიფიცირებელ კრიტერიუმად, მაშინ როდესაც ხანგრძლივობა მე-2(f) პარაგრაფში მოცემული არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ცნების განუყოფელ ნაწილად გვევლინება. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, ეს ცნება კი არ აფართოებს მე-2(d) პარაგრაფში მოცემული კონფლიქტის მოქმედების სფეროს, არამედ ქმნის არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ახალ, დამოუკიდებელ კატეგორიას იმ მიზნით რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებაში მომხდარიყო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დამატებითი დარღვევების, ანუ მეორე დამატებითი ოქმის წესების დარღვევის, კრიმინალიზება. ის ფაქტი, რომ ამ მუხლის ტექსტზე მუშაობისას საჭირო გახდა კომპრომისის გამოძებნა მის საბოლოო ვერსიაზე შესაჯერებლად, მიუთითებს რომ მუხლის შემქმნელთა განზრახვა იყო შეთანხმებულიყვნენ მე-2(d) პარაგრაფისაგან განსხვავებული კატეგორიის არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კატეგორიაზე.

პრეცედენტული სამართლით უფრო მეტად ამ დებულებების მეორენაირი განმარტებაა გამყარებული. მაგალითად, *ლუბანგა დაილოს* საქმეში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინა-სასამართლო პალატამ სწორედ მეორე დამატებითი ოქმი გამოიყენა იმისათვის რომ განემარტა რომის სტატუტის მე-8 მუხლის მე-2(f) პარაგრაფი. შესაბამისად, პალატას აშკარად სურდა რომ ამ დებულებისათვის განსხვავებული მნიშვნელობა მიეცა მისი გამოყენებისათვის სპეციალური ზღვრის დაწესების გზით. პალატამ ასევე ნათლად აღნიშნა, რომ ეს ზღვარი ორი პირობით ხასიათდება: (ა) ძალადობამ უნდა მიაღწიოს გარკვეულ ინტენსივობას და უნდა იყოს განგრძობადი; (ბ) შეიარაღებულ კონფლიქტში უნდა იყოს ჩართული დაჯგუფება, რომელსაც აქვს ორგანიზებულობის გარკვეული ხარისხი, კერძოდ კი მას უნდა შეეძლოს „დროში განგრძობადი სამხედრო ოპერაციების დაგეგმვა და წარმართვა.“⁵¹ ამგვარად ფორმულირებული დეფინიცია მიანიშნებს რომ ამ კატეგორიის არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის გამოყენების სფერო, საერთო მე-3 მუხლში მოცემული კონფლიქტისაგან განსხვავებით უფრო ვიწროა, რადგან ის მოიაზრებს რომ ბრძოლა დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა გრძელდებოდეს. ამავდროულად ეს დეფინიცია მაინც უფრო ფართოა, ვიდრე მეორე დამატებით ოქმში მოცემული არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დეფინიცია, რადგან ეს არ მოითხოვს რომ კონფლიქტში

⁵⁰ A. Bouvier, M. Sasso'li (eds), *How Does Law Protect in War?* Vol. 1, Geneva, ICRC, 2006, გვ. 110; R. Provost, *International Human Rights and Humanitarian Law*, Cambridge University Press, Cambridge, 2002, გვ. 268 f.; W.A. Schabas, *An Introduction to the International Criminal Court*, Cambridge University Press, Cambridge, 2007 (3rd edn), გვ. 116. უფრო დაბალანსებული პოზიციისათვის იხილეთ დავიდის ნაშრომი, რომელშიც იგი მიიჩნევს, რომ ვიწრო გაგებით, მე-(2)(f) პარაგრაფი არ ქმნის არა-საერთაშორისო კონფლიქტის მესამე კატეგორიას, არამედ „შეიარაღებული კონფლიქტის ფართო კონცეფცია ანაცვლებს მეორე დამატებით ოქმს *lex posterior* მეშვეობით.“ (David, იხილეთ სქოლიო 7, გვ. 137, ICRC translation).

⁵¹ International Criminal Court, *Prosecutor v. Lubanga Dyilo*, Case No. ICC-01/04-01/06-803, Decision on the confirmation of charges (Pre-Trial Chamber I), 29 January 2007, პარაგრაფები 229–237, განსაკუთრებით 234.

ჩართული შეიარაღებული დაჯგუფება აკონტროლებდეს ტერიტორიას.⁵² აქედან გამომდინარე, რომის სტატუტის განსახილველ დებულებაში მოყვანილი შეიარაღებული კონფლიქტის კატეგორია შინაარსობრივად ერთგვარი შუალედური დეფინიციას საერთო მე-3 მუხლსა და მეორე დამატებით ოქმში მოცემულ არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების ცნებებს შორის.

რომ შევაჯამოთ, ჩანს რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება/რომის სტატუტი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი ტიპის არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს: პირველ რიგში სტატუტში მოცემულია კონფლიქტი საერთო მე-3 მუხლის გაგებით (პარაგრაფები 2(c)-(d)), ხოლო შემდგომ სტატუტი გვამძლევს „განგრძობად“ არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ცნებას (პარაგრაფები 2(e)-(f)). თუმცა აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რომის სტატუტის ეს ინოვაცია არამც და არამც არ ქმნის არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ახალ ცნებას საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში, არამედ მისი ძირითადი დანიშნულებაა რომ გამოიყენებოდეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის დადგენის მიზნით. შესაბამისად, ის გამოიყენება მხოლოდ სასამართლოს მიერ იურისდიქციის განსახორციელებლად და არ აყალიბებს უფრო ზოგადად გამოსაყენებელ ახალი კატეგორიის არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ცნებას.

ზოგიერთი შეიარაღებული კონფლიქტის სადავო კლასიფიკაცია

პრაქტიკაში შეიარაღებული კონფლიქტები ისე მკაფიოდ არ იკვეთება, როგორც ეს სამართლებრივ კატეგორიებშია მოცემული. ზოგიერთი მათგანი კი საერთოდ არ ერგება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრულ კონცეფციებს. ამის გამო წარმოიშობა კითხვები ხომ არაა საჭირო რომ არსებული სამართლებრივი კატეგორიები დამატებით შეივსოს ან მოხდეს მათი ადაპტირება ისე რომ ეს განსახილველი შემთხვევები, რომლებიც ვერც-ერთ კატეგორიაში ვერ ხვდება, საერთოდ სამართლებრივ ვაკუუმში არ აღმოჩნდეს. მოცემულ თავში განხილულია პრაქტიკაში წამოჭრილი რამდენიმე დილემა სიტუაციათა სამი ტიპის მაგალითზე, რომელთა კვალიფიკაციაც წინააღმდეგობრივი და სადავოა: ტერიტორიის კონტროლი სამხედრო ჯარების ადგილზე ყოფნის გარეშე; არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში უცხო ძალების ჩართულობა; და რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარე არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნუსხა არაა ამომწურავი და შესაძლოა არ მოიცავდეს ყველა ისეთ სიტუაციას, რომლის კვალიფიკაციაც სადავოა.

⁵² ეს ახალი კატეგორიაც წარმოშობს გარკვეულ პრობლემებს. არ არსებობს ობიექტური კრიტერიუმი, რის საფუძველზეც დადგინდება მინიმალური ხანგრძლივობის ზღვარი. ამასთანავე, კითხვები იბადება იმასთან დაკავშირებით თუ რა სამართლებრივი რეჟიმი უნდა მოქმედებდეს იმ პერიოდში, სანამ ბრძოლა ჩაითვლება „საკმარისად ხანგრძლივად“ რითაც ის უკვე დაკვალიფიცირდება არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად ამ დეფინიციის მიზნებისათვის. უნდა იქნას თუ არა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის რეტროაქტიური გავრცელება ამ შემთხვევაში გამოყენებული?

ტერიტორიის კონტროლი სამხედრო ჯარების ადგილზე ყოფნის გარეშე

ოკუპაციის ცნებასთან მიმართებაში, 1907 წლის ჰააგის რეგულაციებისა და 1949 წლის ჟენევის კონვენციების მიერ მოცემული დაზუსტებების მიუხედავად, პრაქტიკაში სიტუაციის ოკუპაციად დაკვალიფიცირება ყოველთვის ასე მარტივი არ ხდება. როგორც რობერტსი მიიჩნევს „ამ ტერმინის ძირითადი მნიშვნელობა საკმარისად ცხადია, მაგრამ როგორც აბსტრაქტული ცნებების გამოყენებისას ხშირად ხდება, ოკუპაციის შემთხვევაშიც, ამ ცნების ფარგლები ნაკლებად მკაფიოა.“⁵³

ლაზას სექტორის მაგალითი, ისრაელის მიერ მისი დატოვების შემდეგ, ამ სირთულეების ყველაზე ნათელი ილუსტრაციაა. 2005 წლის 12 სექტემბერს, ისრაელის ჯარის უკანასკნელმა დანაყოფმაც დატოვა ლაზას სექტორი, სადაც ისინი განგრძობითად განლაგებული იყვნენ 1967 წელს მომხდარი ექვსდღიანი ომის შემდეგ. სექტორის დატოვებით ისრაელის ჯარებმა აღასრულეს „გამოსვლის გეგმა“, რომელიც ისრაელის მთავრობამ 2004 წლის 6 ივნისს მიიღო და იმავე წლის 25 ოქტომბერს პარლამენტმა დაამტკიცა.⁵⁴ ამ გეგმის მეშვეობით, მთავრობას განზრახული ჰქონდა რომ მოეხსნა ყველა პასუხისმგებლობა რაც მას ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მიმართ ჰქონდა.⁵⁵ აქედან გამომდინარე შეიძლებოდა თუ არა რომ მთავრობის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი შეგვეფასებინა როგორც ამ ტერიტორიის ოკუპაციის დასასრული? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისრაელის ჯარების ფიზიკური გამოყვანა ლაზას ტერიტორიიდან საკმარისია თუ არა იმის დასამტკიცებლად რომ ოკუპაციისათვის დამახასიათებელი ტერიტორიის ეფექტიანი კონტროლი იმ დროისათვის უკვე აღარ იყო სახეზე?

ზოგიერთი ავტორი ამ კითხვას უარყოფითად პასუხობს. აქედან გამომდინარე წარმოიშვა მოსაზრება, რომ მიუხედავად იმისა რომ ისრაელის ჯარები ფიზიკურად აღარ იყვნენ ლაზაში განთავსებულნი, ისრაელი მაინც ინარჩუნებდა ლაზას სექტორზე არსებით კონტროლს.⁵⁶ გამოსვლის გეგმა ღიად მიუთითებდა რომ ჯარების გამოყვანის შემდეგაც ისრაელს მაინც უნდა შეენარჩუნებინა კონტროლი ლაზას ტერიტორიის საზღვრებზე და მის საჰაერო და წყლის ტერიტორიებზე.⁵⁷ გარდა ამისა, ისრაელს აქვს შესაძლებლობა რომ შეიჭრას პალესტინის ამ ტერიტორიაზე [იგულისხმება ლაზას სექტორი] ნებისმიერ დროს საჯარო წესრიგის შენარჩუნების მიზნით.⁵⁸ ეს შესაძლებლობა ძირითადად განპირობებულია ლაზას

⁵³ Roberts, იხილეთ სქოლიო 17, გვ. 249.

⁵⁴ Israeli Prime Minister's Office, Cabinet Resolution Regarding the Disengagement Plan: Addendum A – Revised Disengagement Plan – Main Principles, 6 June 2004, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://www.mfa.gov.il/MFA/Peace+Process/Reference+Documents/Revised+Disengagement+Plan+6-June-2004.htm#A> (ბოლოს ნანახია 2009 წლის 9 ივლისს).

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ იხილეთ the Note by the United Nations Secretary-General: *Situation of human rights in the Palestinian territories occupied since 1967*, UN Doc. A/61/470, 27 September 2006, პარაგრაფი 6. იხილეთ ასევე: *Report on the situation of human rights in the Palestinian Territories occupied by Israel since 1967*, J. Dugard, Special Rapporteur, E/CN.4/2006/29, 17 January 2006, პარაგრაფები 6 ff.

⁵⁷ Israeli Prime Minister's Office, იხილეთ სქოლიო 54, Chapter 1: *Background – Political and Security Implications*.

⁵⁸ ისრაელის მიერ ლაზადან გამოსვლის შემდეგ მის მიერ განხორციელებული ძალაუფლების შესახებ უფრო დეტალური ანალიზისათვის იხილეთ: Gisha – Legal Center for Freedom of Movement, *Disengaged Occupiers: The Legal*

ტერიტორიის სიმცირითა და ისრაელის არმიის ხელთ არსებული სამხედრო საშუალებებით. ამგვარი ინტერპრეტაცია გარკვეულწილად თანხვედრაში მოდის 1907 წლის ჰააგის რეგულაციების 42(2)-ე მუხლთან, რომელიც მიუთითებს, რომ ოკუპაცია სახეზეა, როდესაც მოწინააღმდეგე ჯარის მმართველობა „დაფუძნებულია და შესაძლებელია მისი [მმართველობის] განხორციელება“ (ხაზგასმა ავტორისეულია). ეს „შესაძლებლობა“ დასაშვებია განიმარტოს ისე რომ ოკუპაციის ფაქტის დასადასტურებლად პოტენციური მმართველობის დამყარებაც საკმარისი იყოს. აქედან გამომდინარე გაერთიანებული ერების გენერალურმა მდივანმა მიიჩნია, რომ „ისრაელის თავდაცვითი ძალების მიერ ღაზას სექტორში განხორციელებულმა ქმედებებმა ნათლად აჩვენა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები ოკუპანტ ძალას აძლევს შესაძლებლობას რომ ეფექტიანად აკონტროლოს ტერიტორია ისე რომ მისი ჯარები არც კი იყოს ფიზიკურად ადგილზე განთავსებული.“⁵⁹ ამ მოსაზრების თანახმად, ღაზას სექტორის ოკუპაცია არ დასრულებულა 2005 წელს ისრაელის ჯარების მიერ ამ ტერიტორიის დატოვებით, რადგან შეიძლება ვთქვათ რომ ისრაელი მაინც აგრძელებს დისტანციურად ისეთი ძალაუფლების განხორციელებას ღაზაზე, რაც ოკუპაციის სამართლით გათვალისწინებული „ეფექტიანი კონტროლის“ დროს მოითხოვება.

თუმცა, სხვა ავტორები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოებო ტექსტების სიღრმისეული ანალიზი მიუთითებს, რომ ოკუპანტი ძალის მიერ მმართველობის დაფუძნების შესაძლებლობა წარმოუდგენელია მის მიერ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მისი ჯარების ფიზიკურად ყოფნის გარეშე.⁶⁰ მიუხედავად იმისა, რომ 1907 წლის ჰააგის რეგულაციების 42-ე მუხლი მიუთითებს რომ ოკუპაცია სახეზეა როცა მოწინააღმდეგე მხარის მმართველობა „შესაძლოა განხორციელდეს“, ის ასევე ნათლად აცხადებს რომ ასეთი მმართველობა ჯერ უნდა „დამყარდეს“. აქედან გამომდინარე, ეს დებულება აბამს უწყვეტ კავშირს მმართველობის დამყარებასა (რომელშიც მოიაზრება ჯარების განთავსება მოცემულ ტერიტორიაზე) და ამ მმართველობის მთელს ტერიტორიაზე გავრცელების შესაძლებლობას შორის. როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განმარტა, ეფექტიანი კონტროლის არსებობა ცხადი ხდება ხელისუფლების ჩანაცვლების შედეგად.⁶¹ აშკარაა, რომ ეს ზღვარი ვერ მიიღწევა თუკი უცხო სახელმწიფოს ჯარები განსახილველი ტერიტორიის მიღმა არიან განლაგებულნი. გარდა ამისა, შეუძლებელია ოკუპაციის დროს მოქმედი უმეტესი

Status of Gaza, January 2007, გვ. 29 ff, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://www.gisha.org/UserFiles/File/Report%20for%20the%20website.pdf> (ბოლოს ნანახია 2009 წლის 13 ივლისს).

⁵⁹ *Situation of human rights in the Palestinian territories occupied since 1967*, UN Doc. A/61/470, 27 September 2006, პარაგრაფი 7. იხილეთ ასევე: *the Report of the Special Rapporteur of the Commission on Human Rights on the situation of human rights in the Palestinian Territories occupied by Israel since 1967* (E/CN.4/2006/29, 17 January 2006). იხილეთ ასევე: C. Bruderlein, 'Legal Aspects of Israel's Disengagement Plan Under International Humanitarian Law', *Legal and Policy Brief*, Harvard University Program on Humanitarian Policy and Conflict Research, November 2004, გვ. 10–11; A. Bockel, 'Le retrait israelien de Gaza et ses conséquences sur le droit international' *Annuaire Franc. de Droit International*, Vol. 50, 2005, გვ. 23; I. Scobbie, 'Is Gaza Still Occupied Territory?', *Forced Migration Review*, Vol. 26, 2006, გვ. 18.

⁶⁰ იხილეთ Y. Shany, Faraway, so Close: *The Legal Status of Gaza after Israel's Disengagement*, The Hebrew University of Jerusalem International Law Forum, Research Paper No. 12-06, August 2006, გვ. 19. იხილეთ ასევე Roberts, სქოლიო 17, გვ. 300; H.-P. Gasser, 'Belligerent Occupation', in *The Handbook of Humanitarian Law in Armed Conflicts*, D. Fleck (ed), Oxford University Press, Oxford, 1995, გვ. 243; M. Bothe, 'Occupation, Belligerent', *Encyclopedia of Public International Law*, Vol. 3, Elsevier, Amsterdam, 1997, გვ. 764.

⁶¹ ICJ, *Case concerning Armed Activities on the Territory of the Congo*, იხილეთ სქოლიო 17, პარაგრაფი 173.

წესების აღსრულება თუკი ოკუპანტი ძალა ფიზიკურად არაა განთავსებული დაკავებულ ტერიტორიაზე.⁶² ფაქტობრივად შეუძლებელია რომ ოკუპანტმა დაკავებულ ტერიტორიაზე გარედან უზრუნველყოს საჯარო წესრიგი და საზოგადოებრივი ცხოვრების უზრუნველყოფა, რისი ვალდებულებაც მოთხოვნილია 1907 წლის ჰააგის რეგულაციების 43-ე მუხლში. აქედან გამომდინარე, პარადოქსული იქნებოდა, რომ სახელმწიფოსათვის მოგვეთხოვა მისი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება მაშინ, როდესაც მას არ შეუძლია ამ ვალდებულებების აღსრულება, რადგან მისი ძალები მოცემულ ტერიტორიაზე ფიზიკურად არ არიან განთავსებული. ამგვარი ინტერპრეტაცია შეუსაბამო იქნებოდა ოკუპაციის სამართლის ძირითად პრინციპებთანაც.

ღაზას სექტორის მაგალითი ნათელი დემონსტრირებაა იმისა, თუ რა დონის სირთულეები შეიძლება წარმოშვას ოკუპაციის ცნებასთან დაკავშირებული ინტერპრეტაციების პრაქტიკაში გამოყენებამ. ამ სტატიის შეზღუდული ფარგლებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მოვახერხოთ ოკუპაციის ცნებასთან დაკავშირებულ ყველა სადავო საკითხის განხილვა. სწორედ ამჟამად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ატარებს საკონსულტაციო პროცესს რომლის შედეგადაც ამ თემის ირგვლივ არსებული რამდენიმე წინააღმდეგობრივი და საკამათო საკითხი უნდა დაზუსტდეს.

არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში უცხო ძალების ჩარევა

ამ საკითხთან მიმართებით ჩარევის ორი ფორმა შეიძლება განვასხვაოთ: (ა) როდესაც ერთი (ან მეტი) მესამე სახელმწიფო ერევა არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში, ამ კონფლიქტის მონაწილე ერთი ან რამდენიმე მხარის მხარდასაჭერად; და (ბ) როდესაც მრავალმხრივი ძალები ერთვებიან არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში სამშვიდობო ოპერაციების ფარგლებში.

ერთი ან რამდენიმე მესამე სახელმწიფოს ჩარევა არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში

ეს სცენარი, რომელიც ხანდახან „შერეული კონფლიქტის“ სახელითაც კი მოიხსენიება, აერთიანებს როგორც საერთაშორისო ისე არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტიდან გამომდინარე ნიშნებს. კონფლიქტში ჩართულ მხარეთა კონფიგურაციის მიხედვით, ამ სცენარით, ბრძოლის ველზე სავსებით შესაძლებელია ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ ტერიტორიული სახელმწიფოსა და კონფლიქტში ჩარეული მესამე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, კონფლიქტის ორივე მხარის მხარდამჭერი მესამე სახელმწიფოს ძალები, სამთავრობო ძალები (ტერიტორიული სახელმწიფოს ან კონფლიქტში ჩართული მესამე სახელმწიფოს ძალები) და არასახელმწიფო შეიარაღებული დაჯგუფებები ან მხოლოდ შეიარაღებული დაჯგუფებები ერთმანეთის პირისპირ. მსგავსი სიტუაციები წამოჭრის იმ შემთხვევების სამართლებრივი დეფინიციის პრობლემას, რომლებიც საერთაშორისო

⁶² მაგალითის სახით იხილეთ 1907 წლის ჰააგის რეგულაციების 43-ე მუხლი და ჟენევის მეოთხე კონვენციის 55-ე, 56-ე და 59-ე მუხლები.

ჰუმანიტარული სამართლით დამკვიდრებული კონფლიქტის სტანდარტულ კატეგორიებში ვერ ხვდება.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი თავისი საქმიანობის განხორციელებისას მიიჩნევს, რომ მეომარი მხარეების მიხედვით, ასეთ სიტუაციაში გამოსაყენებელი სამართალი შესაძლოა სხვადასხვა იყოს თითოეული შემთხვევის ბუნებიდან გამომდინარე. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები რეგულირდება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართლით, მაშინ როდესაც სხვა სცენარების შემთხვევაში არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი უნდა იქნას გამოყენებული.⁶³ აქედან გამომდინარე, უცხო მესამე სახელმწიფოს მიერ შეიარაღებულ კონფლიქტში ადგილობრივი სახელმწიფოს წინააღმდეგ განწყობილი არასახელმწიფო დაჯგუფების მხარდასაჭერად ჩართვით არსებული კონფლიქტი უკვე „გასაერთაშორისოებულ“ კონფლიქტად იქცევა. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ამგვარი ფრაგმენტული გამოყენება არაპირდაპირ მხარდაჭერილი იქნა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ *ნიკარაგუაში და მის წინააღმდეგ სამხედრო და გასამხედროებელი მოქმედებების* საქმეში: კონფლიქტის გაანალიზებისას სასამართლომ ერთმანეთისაგან განასხვავა ერთი მხრივ ნიკარაგუას მთავრობასა და დაჯგუფება კონტრას შორის არსებული კონფლიქტი და მეორე მხრივ იმავე ნიკარაგუას მთავრობასა და შეერთებული შტატების მთავრობას შორის კონფლიქტი.⁶⁴ თუმცა, ეს დიფერენცირებული მიდგომაც წამოჭრის რამდენიმე პრაქტიკულ პრობლემას. ხშირ შემთხვევაში, შეიარაღებული კონფლიქტის ორი ტიპიდან ერთის ან მეორის განსხვავება ხელოვნურად ხდება ან ამ განსხვავებას იმ შედეგებამდე მივყავართ, რომლის მიღებაც რთულია ხოლმე. როდესაც სახეზე გვაქვს უცხო სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისა და აჯანყებული ძალების ალიანსი, მაგალითისათვის იბადება შემდეგი შეკითხვები: რა სტატუსით უნდა ისარგებლოს სამოქალაქო პირმა, რომელიც დააკავა უცხო სახელმწიფოს ძალებმა მაგრამ შემდგომ გადასცა ადგილობრივ დაჯგუფებას? ჟენევის მეოთხე კონვენციის შესაბამისი წესები უნდა მოქმედებდეს თუ არა მათთან მიმართებაში (იმ დაშვებით რომ სახეზეა კონფლიქტი ტერიტორიულ სახელმწიფოსა და კონფლიქტში ჩართულ მესამე სახელმწიფოს შორის)? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვადასხვა წესები უნდა მოქმედებდეს თუ არა ამ პირებთან მიმართებით იმის მიხედვით თუ ვინ დააკავა ისინი - უცხო სახელმწიფოს ძალებმა თუ პირდაპირ ადგილობრივმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ?

ამ სირთულეების ფონზე, იბადება შეკითხვა, მიზანშეწონილი ხომ არ იქნებოდა რომ მოგვეხდინა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ადაპტაცია იმგვარად როგორც ის მოქმედებდეს ასევე ისეთი არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც ხასიათდება უცხო სახელმწიფო(ებ)ისაგან ჩარევით. ზოგიერთი მეცნიერი შორს მიდის და მიიჩნევს, რომ ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც სახეზე გვაქვს კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარის სასარგებლოდ კონფლიქტში უცხო ძალის ჩართვა, ასეთ დროს მიმდინარე კონფლიქტში უნდა მოქმედებდეს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი.⁶⁵

⁶³ იხილეთ D. Schindler, 'International Humanitarian Law and Internationalized Internal Armed Conflicts', *International Review of the Red Cross*, No. 230, 1982, გვ. 255–264.

⁶⁴ ICJ, *Military and paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America)*, Judgment, ICJ Reports 1986, პარაგრაფი 219.

⁶⁵ I. Detter, *The Law of War*, Cambridge University Press, Cambridge, 2000, გვ. 49; E. David, იხილეთ სქოლიო 8, გვ. 175.

მსგავსი ბუნების წინადადება ჰქონდა ასევე წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს 1971 წელს თავის ანგარიშში „არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვა“.⁶⁶ მაგრამ საბოლოოდ ეს წინადადება უარყვეს იმ ექსპერტებმა, ვინც შეისწავლეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დოკუმენტის პროექტი. ჩაითვალა, რომ ამგვარი შესაძლებლობის გაჩენა ასეთ კონფლიქტებს კიდევ უფრო გააუარესებდა, რადგან არასახელმწიფო დაჯგუფებები შეეცდებოდნენ მესამე სახელმწიფოების დაყოლიებას კონფლიქტში ჩართვაზე რათა მათ სრულად მიეღოთ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოქმედი სამართლის სარგებელი და უპირატესობები.⁶⁷

არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში მრავალმხრივი ძალების ჩარევა

სანამ დავიწყებდეთ აღნიშნული საკითხის განხილვას, პირველ რიგში ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში მრავალმხრივი ძალების ფიზიკურად ყოფნა აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ ისინი კონფლიქტის მხარეები არიან. როგორც წესი, ეს ძალები, კონფლიქტის დროს, ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად არ არიან მოსულნი, არამედ ტრადიციულად მივლენილნი არიან რომ უზრუნველყონ მშვიდობის დაცვა. ასეთ შემთხვევებში, მათი მანდატი არ აძლევს ამ ძალებს უფლებას რომ კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარეს მიემხრონ და მხარი დაუჭირონ, არამედ მათი მანდატი შემოიფარგლება მხოლოდ მხარეებს შორის განლაგებითა და დაკვირვებით. ამასთანავე, მათ ძალის გამოყენების უფლება აქვთ მხოლოდ თავდაცვის შემთხვევაში. ამის მიუხედავად, მრავალმხრივი ძალები მაინც შეიძლება მიჩნეული იყოს კონფლიქტის მონაწილე მხარედ ორი ჰიპოთეტური დაშვებით: პირველ რიგში, შესაძლოა დავუშვათ რომ მრავალმხრივი ძალები არიან კონფლიქტის მხარე თუკი ისინი მიმდინარე შეიარაღებულ მოქმედებებში იღებენ მონაწილეობას ერთ-ერთი მეომარი მხარისათვის მხარდაჭერის აღმოჩენის გზით. მაგალითისათვის, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაერთიანებული ერების ორგანიზებული მისია (MONUC) კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სამხედრო დახმარებასაც აღმოუჩინდა რათა მთავრობას შესძლებოდა შეიარაღებული ოპოზიციური დაჯგუფებების მხრიდან მომდინარე შეტევებთან გამკლავება.⁶⁸ მეორე შემთხვევაა, როდესაც საერთაშორისო სამხედრო დანაყოფები ტერიტორიაზე განლაგებული არიან რომელიმე მეომარი ბანაკის მხარდაჭერის გარეშე. ასეთ დროს მათი სტატუსი უნდა შეფასდეს ჩვეულებრივ არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დასადგენად გამოყენებული კრიტერიუმებით. ეს ჯარები შეიარაღებული კონფლიქტის მხარედ მაშინ ჩაითვლებიან თუკი კონფლიქტში მათი ჩართულობა მიაღწევს ინტენსივობის მოთხოვნილ ზღვარს.⁶⁹ თუმცა აქ არ

⁶⁶ ICRC, *Protection of Victims of Non-International Armed Conflicts*, იხილეთ სქოლიო 31, გვ. 17 ff.

⁶⁷ ICRC, *Report on the Work of the Conference of Government Experts on the Reaffirmation and Development of International Humanitarian Law Applicable in Armed Conflicts*, ICRC, Geneva, August 1971, გვ. 50 ff., განსაკუთრებულად შემდეგი პარაგრაფები: 301 ff.

⁶⁸ იხილეთ მაგალითად: United Nations Secretary-General, *Fourth special report of the Secretary-General on the United Nations Organization Mission in the Democratic Republic of the Congo*, S/2008/728, 21 November 2008, პარაგრაფები 13 and 25.

⁶⁹ იხილეთ ზემოთ ქვეთავი „ომი და საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი“.

მოიაზრება ისეთი შემთხვევები, როდესაც მრავალმხრივი ჯარების მიერ ძალის გამოყენება ხდება მხოლოდ თავდაცვითი მიზნებისათვის.

აქ განხილული შეიარაღებული კონფლიქტების ბუნება წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ავტორთა უმეტესობის აზრით,⁷⁰ მსგავსი სიტუაციები უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი. იმ დათქმით რომ განსახილველი სამხედრო ოპერაციები გადაწყვეტილი, განსაზღვრული და ჩატარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მსგავსი სიტუაციები მართლაც ამ კატეგორიაში მოხვდება. ამ შემთხვევაში უკვე ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება იმას თუ ვინ არის მოწინააღმდეგე მხარე - სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაჯგუფება. ამ დოქტრინალური მოსაზრების მიხედვით, ასეთი სავარაუდო შემთხვევა წარმოადგენს *sui generis* ხასიათის საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს, რადგან კონფლიქტში ჩართული ორგანიზაციის სტატუსი (საერთაშორისო) უკვე საკმარისია იმისათვის რომ კონფლიქტი ამ კატეგორიად დაკვალიფიცირდეს. თუმცა, ამის ფონზე, მსგავს შემთხვევებში საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართლის გამოყენება ნამდვილად გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. იმ სავარაუდო სცენარში, რომელშიც კონფლიქტი მიმდინარეობს მრავალმხრივ ძალებსა და არაორგანიზებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის, საკმაოდ რთულად ჩანს თუ როგორ უნდა მოეთხოვოს მხარეებს რომ დაიცვან 1949 წლის ჟენევის მესამე კონვენცია. მეორე მიდგომის თანახმად, რომელსაც წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტიც იზიარებს, ასეთ შემთხვევებში უნდა გამოვიყენოთ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დიფერენცირებული მოქმედების პრინციპი, რაც გულისხმობს რომ გამოსაყენებელ სამართალს ვადგენთ ბრძოლის ველზე მიმდინარე ყოველ ინდივიდუალურ შეტაკებაში ცალკე, ამ კონკრეტულ ბრძოლაში ჩართული მხარეების მიხედვით. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი უნდა გამოიყენებოდეს მაშინ როდესაც ერთმანეთს უპირისპირდებიან საერთაშორისო ძალები და სამთავრობო ჯარები. და პირიქით, თუკი სახეზეა შეტაკება საერთაშორისო ძალებსა და არასახელმწიფო დაჯგუფებებს შორის, მაშინ არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი უნდა იქნას გამოყენებული. შესაბამისად, ერთი და იმავე კონფლიქტში შეიძლება სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმი მოქმედებდეს, რაც დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაში შეტაკებაში მონაწილე დაპირისპირებულ მხარეებზე.⁷¹

⁷⁰ უფრო კონკრეტულად იხილეთ: D. Shraga, 'The UN as an Actor Bound by International Humanitarian Law', in L. Condorelli et al. (eds), *The United Nations and International Humanitarian Law*, Pedone, Paris, 1996, გვ. 333; გვ. Benvenuti, 'The Implementation of International Humanitarian Law in the Framework of UN Peace-Keeping', in European Commission Humanitarian Office, *Law in Humanitarian Crises: How Can International Humanitarian Law Be Made Effective in Armed Conflicts?*, Office for the Official Publications of the European Communities, Luxembourg, 1995, გვ. 96 f.; C. Emanuelli, 'United Nations forces and humanitarian law', in L. Condorelli et al. (eds), *The United Nations and international humanitarian law*, Paris, Pedone, 1996, გვ. 357 ff.; R. Kolb, *Droit humanitaire et opérations de paix internationales*, Bruylant, Brussels, 2006, გვ. 57 ff.

⁷¹ H. McCoubrey, N.D. White, *The Blue Helmets: Legal Regulation of United Nations Military Operations*, Dartmouth, Aldershot, 1996, გვ. 172; L. Condorelli, 'Le statut des forces des Nations Unies et le droit international humanitaire', in *Les casques bleus: policiers ou combattants?*, C. Emanuelli (ed), Wilson et Lafleur Itee, Montreal, 1997, გვ. 110; B. Tittmore, 'Belligerents in Blue Helmets: Applying International Humanitarian Law to United Nations Peace Operations', *Stanford Journal of International Law*, Vol. 33, 1997, გვ. 110; J. Pejic, 'Status of Armed Conflicts', in E. Wilmshurst and S. Breau (eds), *Perspectives on the ICRC Study on Customary International Humanitarian Law*, Cambridge University Press, Cambridge, 2007, გვ. 94. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი უნდა გადაიხედოს და მოერგოს მრავალმხრივი ძალების განმასხვავებელ სახასიათო ნიშნებს. ერთ-ერთი ასეთი მცდელობის სანახავად იხილეთ: R. Kolb, სქოლიო 70, გვ. 65 ff.

რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარე არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი

ორივე დებულება, ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი და მეორე დამატებითი ოქმი აზუსტებს ამ დებულებების მოქმედების სფეროს მკაფიო მითითებით რომ ამ მუხლებში მოცემული კონფლიქტი უნდა მიმდინარეობდეს ამ ინსტრუმენტების ხელშემკვერელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. თუმცა, პრაქტიკაში მთავრობებსა და შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის მიმდინარე ბევრი კონფლიქტი მიმდინარეობს ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს რომ ეს არის კონფლიქტის ახალი ტიპი, რომელიც არც-ერთი ამჟამად მოქმედი დებულებით გათვალისწინებული არაა. ისინი ამგვარ კონფლიქტებს მოიხსენიებენ, როგორც „ტრანსნაციონალური შეიარაღებული კონფლიქტი“ ან „ერთ სახელმწიფოს მიღმა კონფლიქტი“ და მიიჩნევენ რომ ამგვარ კონფლიქტებთან მიმართებაში უნდა გამოიყენებოდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სპეციალური წესები.⁷² ამიტომ მნიშვნელოვანია რომ კონფლიქტის ამგვარი ტიპის რამდენიმე სცენარი განვიხილოთ.

„ექსპორტირებული“ არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი

კლასიკური არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის (მოიაზრება საერთო მე-3 მუხლისა და მეორე დამატებითი ოქმის ქვეშ მოცემული კონფლიქტები) მხარეებს შეუძლიათ ბრძოლები განაგრძონ ერთი ან რამდენიმე მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ სახელმწიფო(ებ)ის მთავრობ(ებ)ის მხრიდან პირდაპირი ან შეფარული თანხმობის შემთხვევაში (ამას ეწოდება „ექსპორტირებული“ ან „დე-ლოკალიზებული“ კონფლიქტი, ანდაც „ექსტრა-ტერიტორიული“ არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი). ასეთ დროს კონფლიქტში ჩართული სამთავრობო ძალები ფაქტობრივად მისდევენ მოწინააღმდეგე მხარეს მეზრძოლ შეიარაღებულ დაჯგუფებას, რომელიც გადადის და თავშესაფარს ეძებს მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ასეთ სიტუაციაში სახეზე არ გვაქვს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, რადგან კონფლიქტი ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის არ მიმდინარეობს (როგორც ეს მოთხოვნილია ჟენევის კონვენციების საერთო მე-2 მუხლში), იმდენად რამდენადაც გადმოსული სახელმწიფო მოქმედებს ტერიტორიული სუვერენის თანხმობით.

საკითხი, თუ რა სამართლის ნორმები უნდა გამოიყენებოდეს ასეთი შემთხვევების დროს, იწვევს კამათს. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს რომ ასეთ სიტუაციებში საქმე გვაქვს ახალი ფორმის კონფლიქტთან. ამ პოზიციის მომხრენი გამოდიან რეკომენდაციით რომ შემუშავდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ახალი წესები, რომელიც იქნება მესამე სამართლებრივი სისტემა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალსა და არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალთან ერთად. ისინი მიიჩნევენ რომ კონფლიქტში ჩართულ მხარეებს თუ შევხედავთ, ამ ტიპის შეიარაღებული კონფლიქტები

⁷² უფრო კონკრეტულად იხილეთ, R.S. Schondorf, 'Extra-State Armed Conflicts: Is there a Need for a New Legal Regime?', *New York University Journal of International Law and Politics*, Vol. 37, No. 1, 2004, გვ. 61-75; G.S. Corn, 'Hamdan, Lebanon, and the Regulation of Armed Conflict: The Need to Recognize a Hybrid Category of Armed Conflict', *Vanderbilt Journal of Transnational Law*, Vol. 40, No. 2, March 2007.

ძალიან ჰგავს არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს, რადგან აქაც ვხვდებით სამთავრობო ძალებს, რომლებსაც კონფლიქტი აქვთ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან. მაგრამ თუკი ტერიტორიას მივიღებთ მხედველობაში, ეს კონფლიქტები ხასიათდება „გასაერთაშორისოებელი“ ბუნებით, რადგან ისინი არ ექცევიან ერთი სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით, არამედ მიმდინარეობენ ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.⁷³ როგორც მაგალითად *შონდორფი* გვთავაზობს, ამ მესამე კატეგორიის კონფლიქტებზე მორგებული ახალი სამართლებრივი რეჟიმი შესაძლოა შეიქმნას ერთის მხრივ „სახელმწიფოთაშორის შეიარაღებულ კონფლიქტებში მოქმედი არა-კომბატანტების სამართლის“ (მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრილი სამოქალაქო პირებისადმი მოპყრობა, განსხვავებითობის პრინციპი) და მეორეს მხრივ „სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში მოქმედი კომბატანტების სამართლის“ (დაჭრილთა, ავადმყოფთა და ხომალდის განადგურებაში მოყოლილთა დაცვა და მათდამი მოპყრობის სტანდარტები, მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის ყოველგვარი სტატუსის გარეშე დაკავება და სხვა) კომბინაციის შედეგად.⁷⁴ ამიტომ ავტორი მიიჩნევს, რომ არაფერი ამართლებს არა-კომბატანტის (იგულისხმება სამოქალაქო პირი, რომელიც არ იღებს პირდაპირ და უშუალო მონაწილეობას შეიარაღებულ მოქმედებებში) მიმართ განსხვავებული დაცვის მინიჭებას იმის მიხედვით კონფლიქტი სახელმწიფოთაშორისია თუ სახელმწიფოს შიგნით მიმდინარეობს. თუმცა ამგვარი განსხვავების არსებობა მისაღებია კომბატანტებთან მიმართებაში, რადგან სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე კონფლიქტის დროს, შეიარაღებული დაჯგუფების წევრები არ სარგებლობენ იმ პრივილეგიებით, რაც საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე ჯარისკაცებს აქვთ მინიჭებული. შესაბამისად გამოსავლად შეიძლება ჩაითვალოს მიდგომა, როდესაც მხედველობაშია მიღებული ასეთი შეიარაღებული კონფლიქტების როგორც შიდა (კონფლიქტის მონაწილე მხარეთა ბუნება) ასევე საერთაშორისო (ექსტრა-ტერიტორიულობა) ასპექტები. თუმცადა ბოლომდე ნათელი არაა ტერიტორიულობის ასპექტი წარმოადგენს თუ არა არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებით ელემენტს. არსებობს მოსაზრება, რომ საერთო მე-3 მუხლსა და მეორე დამატებით ოქმში მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მითითების მიზანი იყო რომ შესაბამისი წესების ასამოქმედებლად სახეზე ყოფილიყო იმ სახელმწიფოს იურისდიქცია, რომელმაც რატიფიცირება გაუკეთა ამ ხელშეკრულებებს (იგულისხმება ჟენევის კონვენციები და მეორე დამატებითი ოქმი). შესაბამისად ტერიტორიაზე მითითების მიზანი არ შეიძლება ყოფილიყო „ექსპორტირებული“ კონფლიქტების საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედების სფეროს მიღმა დატოვება. არამედ ეს, არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართლის კონტექსტში, უნდა დავინახოთ, როგორც იმ პრინციპის შეხსენება, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო კონვენციები სავალდებულოა შესასრულებლად მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც გამოხატეს თანხმობა მათ შესრულებაზე.⁷⁵ ამის შემდეგ უკვე აღარ დარჩა წინაღობა, რაც განსახილველ შემთხვევებში არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართლებრივი რეჟიმის გამოყენებას ალუდებდა წინ, თუნდაც

⁷³ უფრო კონკრეტულად იხილეთ: Schondorf, სქოლიო 72, გვ. 41 ff.

⁷⁴ იქვე გვ. 45 ff.

⁷⁵ იხილეთ D. Jinks, 'September 11 and the Laws of War', *Yale Journal of International Law*, Vol. 28, 2003, გვ. 36 f.; M. Sassoli, 'Transnational Armed Groups and International Humanitarian Law', *Occasional Paper Series*, Harvard University, Winter 2006, Number 6, გვ. 9; J. Cerone, 'Jurisdiction and Power: The Intersection of Human Rights Law and the Law of Non-International Armed Conflict in an Extraterritorial Context', *Israel Law Review*, Vol. 40, No. 2, 2007.

შეიარაღებული მოქმედებები გასცდეს ერთი სახელმწიფოს საზღვრებს. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით რომ ჟენევის ოთხი კონვენცია უნივერსალურად არის რატიფიცირებული, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მიიჩნევს, რომ პრაქტიკაში უკვე ტერიტორიულობის კრიტერიუმმა საერთო მე-3 მუხლის ჭრილში დაკარგა თავისი მნიშვნელობა. მართლაც, როგორც კომიტეტი აღნიშნავს „სამთავრობო სამხედრო ძალებსა და შეიარაღებულ დაჯგუფებებს ან ასეთ დაჯგუფებებს შორის ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტი ნებისმიერ შემთხვევაში კონვენციის ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მოხდება.“⁷⁶

ტრანს-სასაზღვრო არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი

კიდევ ერთი სცენარი გულისხმობს ისეთ სიტუაციას, როდესაც სახელმწიფოს ძალები ერთვეებიან შეიარაღებულ კონფლიქტში მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედ შეიარაღებულ დაჯგუფებასთან. ასეთ შემთხვევაში სახეზე არა გვაქვს უკვე არსებული კონფლიქტის „გადატანა“ ანუ „ექსპორტირება“ სხვა ტერიტორიაზე, არამედ საბრძოლო მოქმედებები ტრანს-სასაზღვროდ მიმდინარეობს. თუკი შეიარაღებული დაჯგუფება მოქმედებს იმ სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, რომლის ტერიტორიაზეც ისაა განლაგებული, მაშინ უკვე სახეზე გვაქვს მოცემულ ორ სახელმწიფოს შორის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი. ხოლო, თუკი შეიარაღებული დაჯგუფება თავისი ინიციატივით მოქმედებს, სამთავრობო ძალებისაგან დამოუკიდებლად, მაშინ უკვე რთული ხდება იმის დადგენა თუ შეიარაღებული კონფლიქტის რომელ კატეგორიაში მოექცევა აღნიშნული სიტუაცია. იბადება კითხვა: აუცილებლად სახეზე გვაქვს თუ არა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, რადგან ერთი სახელმწიფო იყენებს ძალას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე? თუკი ეს ასეა, მაშინ შეიარაღებული დაჯგუფების წევრები უნდა განიხილებოდნენ თუ არა სამოქალაქო პირებად, რომლებიც პირდაპირ და უშუალო მონაწილეობას იღებენ საომარ მოქმედებებში? უფრო მიზანშეწონილი ხომ არ იქნებოდა თუკი ამ სიტუაციას ტრანს-სასაზღვრო არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად დავაკვალიფიცირებდით, თუნდაც მივიჩნიოთ რომ ამის პარალელურად ორ სახელმწიფოს შორის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი მიმდინარეობს? ან ხომ არ უნდა მივიჩნიოთ რომ სახეზეა არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი თუკი შეიარაღებული დაჯგუფების ადგილსამყოფელი სახელმწიფო მხარს უჭერს ან ნებას რთავს მეზობელ სახელმწიფოს რომ შემოვიდეს მის ტერიტორიაზე და ებრძოლოს დაჯგუფებას, და პირიქით თუკი ტერიტორიული სახელმწიფოსგან ამგვარი თანხმობა/ნებართვა არ გვაქვს, მაშინ მოცემული სიტუაცია საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად დავაკვალიფიცირდეს?⁷⁷ და ბოლოს, ხომ არ უნდა ჩავთვალოთ რომ მსგავს სიტუაციაში საქმე გვაქვს ახალი ტიპის შეიარაღებულ კონფლიქტთან,

⁷⁶ ICRC, *How is the term 'Armed Conflict' defined in international humanitarian law?*, იხილეთ სქოლიო 23, გვ. 3. იხილეთ ასევე: Moir, სქოლიო 39, გვ. 31.

⁷⁷ დავიდი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი სახეზეა მაშინ, როდესაც შეიარაღებული დაჯგუფება აცხადებს რომ ის სახელმწიფოს წარმომადგენელია და მას აქვს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერა (David, სქოლიო 7, გვ. 127).

რომელიც სპეციალური სამართლებრივი რეჟიმით უნდა დარეგულირდეს, რაც ჯერ კიდევ არაა განსაზღვრული?⁷⁸

ზემოთ აღწერილი სიტუაციის მსგავსი ერთ-ერთი ყველაზე ახალი მაგალითია 2006 წლის ზაფხულში ლიბანში განვითარებული მოვლენები. როგორც ცნობილია, ჰეზბოლას სამხედრო დანაყოფების მხრიდან ისრაელის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებისა და სხვა პოზიციების წინააღმდეგ განხორციელებული შეტევების შედეგად 12 ივლისს დაიწყო მაღალი ინტენსივობის შეიარაღებული კონფლიქტი. მაგალითისათვის, ისრაელის რვა ჯარისკაცი შეეწირა ამ ოპერაციებს, ხოლო ორი კი დაკავებულ-იქნა. ისრაელის ძალებმა კი საპასუხო იერიში მიიტანეს ლიბანზე მისი სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ტერიტორიებიდან. საბრძოლო მოქმედებებმა 14 აგვისტომდე გასტანა, როდესაც ამოქმედდა ორივე ქვეყნის მთავრობების მიერ მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება.⁷⁹

გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ შექმნილი საგამომიებო კომისია მივიდა დასკვნამდე რომ ლიბანში განვითარებული მოვლენები იყო საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, თუმცა ისე რომ ლიბანის სამხედრო ძალებს ბრძოლებში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღიათ. 2006 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ ანგარიშში, კომისია მიიჩნევს რომ ჰეზბოლა უნდა განიხილებოდეს, „კონფლიქტის მონაწილე მხარის კუთვნილ“ მილიციურ დაჯგუფებად, როგორც ეს მოცემულია 1949 წლის ჟენევის მესამე კონვენციის მე-4A(2) მუხლში. ამ მოსაზრების დასადასტურებლად, კომისია ხაზს უსვამდა რომ ჰეზბოლა, როგორც კანონის საფუძველზე მოქმედი პოლიტიკური პარტია, წარმოდგენილი იყო როგორც ლიბანის პარლამენტში, ასევე მთავრობაში. გარდა ამისა, რამდენიმე წლის განმავლობაში ჰეზბოლა ლიბანის სამხრეთიდან ახორციელებდა ანტი-ისრაელურ წინააღმდეგობრივ მოძრაობებს და ეს ფაქტი აღიარებული იყო თავად ლიბანის პრეზიდენტის მიერ, რომელმაც ჰეზბოლას სამხედრო ფრთას „ეროვნული წინააღმდეგობის მებრძოლები“ უწოდა.⁸⁰ აქედან გამომდინარე, კომისიის დასკვნის მიხედვით, 2006 წლის ომი უნდა დაკვალიფიცირდეს საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად იმ დროისათვის ჰეზბოლასა და ლიბანის მთავრობას შორის არსებული ორგანული კავშირების არსებობის გამო.

თუმცაღა, ამის მიუხედავად, მაინც საკამათო საკითხად რჩება კომისიის მიერ მოხმობილი არგუმენტი მართლა ამტკიცებს თუ არა იმას რომ განსახილველ შემთხვევაში ჟენევის მესამე კონვენციის მე-4A(2) მუხლში მოცემული სიტუაცია სახეზე გვქონდა. რეალურად, წარმოდგენილი არგუმენტები არაა საკმარისი იმის დასამტკიცებლად რომ სახეზე გვქონდა საკმარისად ახლო კავშირები ჰეზბოლას მებრძოლებსა და ლიბანის მთავრობას შორის. ასეთი კავშირის დასადგენად აუცილებელია რომ ამ მებრძოლებს ემოქმედათ ლიბანის მთავრობის „სახელით“.⁸¹ სხვანაირად რომ ვთქვათ, „იმისათვის რომ არარეგულარული

⁷⁸ კორნი ამგვარ სიტუაციებს „ტრანსნაციონალურ შეიარაღებულ კონფლიქტებად“ მოიხსენიებს და მიიჩნევს, რომ მათზე უნდა ვრცელდებოდეს „შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის ფუძემდებლური პრინციპები“, მაშასადამე საერთო მე-3 მუხლი და ომის წარმოებისას მოქმედი რამდენიმე პრინციპი (Corn, იხილეთ სქოლიო 72).

⁷⁹ კონფლიქტის გარემოებებისა და მიმდინარეობის შესახებ დეტალების გასაცნობად იხილეთ: Commission of Inquiry on Lebanon, Report pursuant to Human Rights Council resolution S-2/1, A/HRC/3/2, 23 November 2006.

⁸⁰ იქვე, პარაგრაფები 50–62.

⁸¹ J. Pictet et al. (eds), *Geneva Convention III Relative to the Treatment of the Prisoners of War: Commentary*, ICRC, Geneva, 1960, გვ. 57.

დანაყოფები მივიჩნით კანონიერ კომბატანტებად, საერთაშორისო სამართალი და სახელმწიფოს პრაქტიკა მოითხოვს, რომ სახეზე იყოს საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართული მხარის მხრიდან მათი კონტროლი და იმავე ლოგიკით ამ არარეგულარული დაჯგუფების მხრიდან *vis-à-vis* კონფლიქტის ამ მხარისადმი დაქვემდებარებული ურთიერთობა და მისადმი მიკუთვნებული დამოკიდებულების ქონა.⁸² ასე უნდა განვმარტოთ ტერმინი „კონფლიქტის მონაწილე მხარის კუთვნილი“ ჟენევის მესამე კონვენციის მე-4A(2) მუხლის გაგებით.⁸³ განსახილველ შემთხვევაში კი იკვეთება რომ კონტროლის საჭირო ხარისხი სახეზე არ გვექნია. პირიქით, ლიბანის ხელისუფლებამ რამდენჯერმე განაცხადა რომ კონფლიქტის დასაწყისში განხორციელებული შეტევების შესახებ მათ არაფერი იცოდნენ და რომ ისინი არ ემხრობოდნენ ამ შეტევებს. მათ ეს განცხადება ოფიციალურადაც გააკეთეს გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოსა და გენერალური მდივნისადმი გაგზავნილ წერილში.⁸⁴ აქედან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში ალბათ მიზანშეწონილია რომ მივემხროთ სწორედ ორმაგი კვალიფიკაციის მიდგომას, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ რომ: ისრაელსა და ლიბანს შორის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის პარალელურად, 2006 წლის ომი წარმოადგენდა ჰეზბოლასა და ისრაელს შორის მიმდინარე არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტსაც, რომლის მთავარი მახასიათებელი ნიშანი იყო ის რომ ის წარმართა ტერიტორიული საზღვრების გადაკვეთით.⁸⁵ შესაბამისად, სიტუაციის შეიარაღებულ კონფლიქტად კვალიფიკაციისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მხარეთა ბუნებას/სტატუსს ენიჭება და არა საბრძოლო მოქმედებების ტრანს-სასაზღვრო ხასიათს.⁸⁶

თუმცა სიტუაციის ამგვარი კვალიფიკაციაც ბადებს სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებულ გარკვეულ შეკითხვებს, კერძოდ კი საომარი მოქმედებების დროს დაკავებული მებრძოლების სტატუსის ჭრილში. გამოდის რომ ჰეზბოლას დაკავებულ წევრებზე უნდა გავრცელებულიყო ჟენევის მეოთხე კონვენცია, რადგან ისინი იყვნენ ლიბანის - სახელმწიფო, რომელსაც არ აქვს ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა - მოქალაქეები,⁸⁷ ხოლო შეიარაღებული დაჯგუფების მიერ ისრაელის თავდაცვითი ძალების წევრი დაკავებული ჯარისკაცები კი მხოლოდ არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების სამართლით მათთვის გათვალისწინებული დაცვით ისარგებლებდნენ. ამგვარი პოზიცია კი უკვე წარმოშობს მებრძოლ მხარეთა შორის თანასწორობასთან დაკავშირებულ პრობლემას. თუმცა, თუკი ვინმე მიიჩნევს რომ ასევე ისრაელის ძალების მიერ დაკავებულ პირებზეც არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი უნდა გავრცელებულიყო, ამით

⁸² ICTY, *Prosecutor v. Tadic*, Judgment (Appeals Chamber), იხილეთ სქოლიო 2, პარაგრაფი 94.

⁸³ იქვე.

⁸⁴ უფრო კონკრეტულად იხილეთ: *Identical letters dated 13 July 2006 from the Charge' d'affaires a.i. of the Permanent Mission of Lebanon to the United Nations addressed to the Secretary-General and the President of the Security Council*, A/60/938-S/2006/518, 13 July 2006.

⁸⁵ იხილეთ David, სქოლიო 7, გვ. 156.

⁸⁶ L. Zegveld, *Accountability of Armed Opposition Groups in International Law*, Cambridge University Press, Cambridge, 2002, გვ. 136.

⁸⁷ ჟენევის მეოთხე კონვენცია, მუხლი 4(1) და (2).

თანასწორობა დამყარდებოდა, მაგრამ მეტწილად დაკავებულთა მიმართ მოპყრობის უფრო დაბალი სტანდარტების გამოყენების ხარჯზე.

სხვა ავტორები გვთავაზობენ ლიბანური კონფლიქტის განსხვავებულ კვალიფიკაციას. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად მიიჩნევს რომ ეს სიტუაცია არის შეიარაღებული კონფლიქტის ახალი ტიპი, რომელიც არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს არც საერთაშორისო და არც არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად, და რომელიც მოითხოვს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სპეციალური ნორმების გამოყენებას.⁸⁸

ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლის საკითხი

ტრანს-სასაზღვრო შეიარაღებული კონფლიქტის ბუნებასთან დაკავშირებული დებატი ასევე წამოჭრის ზოგიერთ სახელმწიფოსა და ალ-ქაედას შორის მიმდინარე დაპირისპირებასთან დაკავშირებულ კითხვებს. განსახილველ შემთხვევაში, ეს კონფლიქტი გამოხატულია რამდენიმე სახელმწიფოში ტერორისტული თავდასხმების სერიების განხორციელებისა და მათი საპასუხო ანტი-ტერორისტული ოპერაციების სახით. შესაძლებელია თუ არა რომ ამ მოვლენების ერთობლიობა შეფასდეს როგორც (გლობალური ტრანს-სასაზღვრო) შეიარაღებული კონფლიქტი, რომელშიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მოქმედებს?⁸⁹ წარმოადგენს თუ არა ტერორიზმის წინააღმდეგ ეს გლობალური ბრძოლა შეიარაღებული კონფლიქტის ახალ ტიპს, რომელიც მოითხოვს ახალი, ჯერ ჩამოუყალიბებელი, სამართლებრივი რეჟიმის გამოყენებას?⁹⁰ თუ ეს ფენომენი საერთოდ არაა შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული? იგივე შეკითხვა შეიძლება დაიბადოს ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან მიმართებაშიც. ზოგიერთი ავტორი არ ერიდება მაგალითად და ახსენებს კიდევ „ნარკოტიკების წინააღმდეგ გლობალურ ომს“.⁹¹

ამ სიტუაციის ძირითადი ასპექტები უკვე სიღრმისეულადაა განხილული.⁹² ამ ეტაპისთვის საკმარისია ვთქვათ რომ განსახილველი სიტუაციის კვალიფიკაციის დასადგენად

⁸⁸ იხილეთ სქოლიო 78.

⁸⁹ იხილეთ J.C. Yoo, J.C. Ho, 'The Status of Terrorists', *UC Berkeley School of Law, Public Law and Legal Theory Research Paper No. 136*, 2003. ჯინქსი ასევე მიიჩნევს, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმა წარმოადგენს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ალ-ქაედას შორის მოქმედ არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს, რომლის მიმართაც უნდა გამოიყენებოდეს საერთო მე-3 მუხლი (Jinks, იხილეთ სქოლიო 75, გვ. 11 f. and 30 ff.).

⁹⁰ იხილეთ Schondorf, სქოლიო 72; Corn, სქოლიო 72; R.D. Sloane, 'Prologue to a Voluntarist War Convention', *Boston University School of Law, Working Paper No. 07-09*. ბალენდრა გვთავაზობს დამატებით ვარიანტს, რაც გულისხმობს შეიარაღებული კონფლიქტის ცვალებადი დეფინიციის გამოყენებას: ეს დეფინიცია უფრო ვიწრო იქნება როდესაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, და უფრო ფართო იქნება, როდესაც ისინი ერთმანეთს შეეწინააღმდეგებიან (N. Balendra, 'Defining Armed Conflict', *Cardozo Law Review*, Vol. 29, No. 6, 2008).

⁹¹ M. Kenney, 'The Challenge of Eradicating Transnational Criminal Networks: Lessons from the War on Drugs', Paper prepared for delivery at the 2002 annual meeting of the American Political Science Association; D.M. Luna, 'Narco-Trafficking: What Is the Nexus With the War on Terror?', 8 October 2008, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:

<http://merln.ndu.edu/archivepdf/terrorism/state/110828.pdf> (ბოლოს ნანახია 2009 წლის 9 ივლისს).

⁹² See J. Pejic, 'Terrorist Acts and Groups: a Role for International Law?', *British Yearbook of International Law*, 2004, გვ. 85 ff

საჭიროა ვიყოთ მოქნილები და მხედველობაში მივიღოთ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში არსებული კონფლიქტის სხვადასხვა ტიპები. პრინციპში, ის მოწყობა, რაც ალ-ქაედას ორგანიზაციას აქვს, გამორიცხავს რომ ეს დაჯგუფება მიჩნეულ იქნეს გლობალური არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მხარედ. ამჟამად არსებული სადაზვერვო ინფორმაციის მიხედვით, ალ-ქაედა ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებულ, ფარული დანაყოფების ქსელს წარმოადგენს.⁹³ ეს დანაყოფები კი ცალ-ცალკე ვერ აკმაყოფილებენ ორგანიზებულობის კრიტერიუმს, რაც აუცილებელი პირობაა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დასადგენად. თუმცა ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ შეუძლებელი არაა რომ ერთ დღესაც ერთ ან მეტ სახელმწიფოსა და ტრანსნაციონალურ შეიარაღებული დაჯგუფებას შორის მიმდინარე კონფლიქტმა მიაღწიოს მოთხოვნილი ზღვრის დონეს.⁹⁴ საქმეში *ჰამდანი რამსფელდის წინააღმდეგ*, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ, როგორც ჩანს, გაიზიარა ეს შეხედულება და დაადგინა რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას დაკავებულ ალ-ქაედას წევრებისა და მასთან დაკავშირებულ პირთა მიმართ მოქმედებს ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი.⁹⁵

ამ კონკრეტული პრობლემის მიუხედავად, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ ცალკეულ კონტექსტში შეიძლება მიიღოს შეიარაღებული კონფლიქტის სახე. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ტერორიზმთან ბრძოლის შედეგად ერთმანეთს სახელმწიფოები უპირისპირდებიან, როგორც ეს 2001 წლის ოქტომბერში მოხდა, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ავღანეთზე მიიტანა იერიში. 2002 წლის 19 ივნისის შემდეგ, ეს ომი ასევე შეიძლება მოვიყვანოთ კლასიკური (გასაერთაშორისოებული) არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მაგალითად, რადგანაც ამ დროს ავღანეთში გარდამავალი მთავრობა ჩამოყალიბდა. საერთაშორისო კოალიციის დახმარებით, ახლად ჩამოყალიბებულ ხელისუფლებას მოუწია ორგანიზებულ არასახელმწიფო ძალების (როგორც იყო მაგალითად თალიბანი) წინააღმდეგ მაღალი ინტენსივობის ბრძოლების წარმოება.

დასკვნა

საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში არსებული სხვადასხვა ფორმის შეიარაღებული კონფლიქტების მიმოხილვამ აჩვენა თუ რაოდენ რთული შეიძლება იყოს ძალადობის სიტუაციის კონფლიქტად კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოსაყენებელი სამართლებრივი წესების დადგენა. ეს სირთულეები ნაწილობრივად გამოწვეულია თავად სამართლებრივი კატეგორიებით, რომელთა შინაარსიც ხშირად იმ ხელშეკრულებებში არაა მკაფიოდ მოცემული, რომლებშიც ვხვდებით ამ სამართლებრივ კატეგორიებს. ამ მხრივ აუცილებელია საერთაშორისო პრაქტიკის განვითარება, რადგან ეს საშუალებას იძლევა რომ აღნიშნული

⁹³ უფრო კონკრეტულად იხილეთ: ICRC, *International humanitarian law and the challenges of contemporary armed conflicts*, Excerpt of the Report prepared by the International Committee of the Red Cross for the 28th International Conference of the Red Cross and Red Crescent Geneva, December 2003, გვ. 232 ff. იხილეთ ასევე: Pejic, სქოლიო 92, გვ. 85 ff.; Sassoli, სქოლიო 75, გვ. 10–11.

⁹⁴ Sassoli, იხილეთ სქოლიო 75, გვ.9.

⁹⁵ Supreme Court of the United States, *Hamdan v. Rumsfeld*, 548 US 557 (2006), გვ. 65–69.

სამართლებრივი კატეგორიები თანდათანობით გამოიხატონ უფრო კონკრეტული ტერმინებით, რეალურ სიტუაციებთან მათი მისადაგების გზით. ამ მხრივ ყველაზე განსაკუთრებული წვლილი ალბათ ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილ სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალს მიუძღვის, არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ცნების განმარტების კონტექსტში. ტრიბუნალის პრეცედენტულმა სამართალმა არა მხოლოდ დაადგინა ამ ცნების ორი აუცილებელი ელემენტი, არამედ შემოგვთავაზა მიმანიშნებელი კრიტერიუმების ფართო სპექტრი, იმისათვის რომ შესაძლებელი გამხდარიყო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მარტივად შეგვეფასებინა თითოეული ეს კომპონენტი სახეზეა თუ არა. თუმცა, შეიარაღებული კონფლიქტის ტიპოლოგიიდან გამომდინარე სხვა ელემენტები კიდევ საჭიროებენ დამატებით დაზუსტებებს. დაზას სექტორის შემთხვევა მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითია იმის სადემონსტრაციოდ თუ რამდენად რთულია ოკუპაციის ცნების მრავალი განზომილების მხედველობაში ერთად მიღება. ასევე კვლავ ბუნდოვნად რჩება იმ კრიტერიუმების საკითხი, რომლის საფუძველზეც უნდა დადგინდეს ოკუპაციის დასაწყისი ან დასრულება.

შეიარაღებული ძალადობის სიტუაციების კონფლიქტად კვალიფიკაცია ხშირად ასევე დაკავშირებულია პოლიტიკურ მოტივებთან, რადგან კონფლიქტის მონაწილე მხარეები ცდილობენ ფაქტების თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ ინტერპრეტირებას. სამართლებრივი კატეგორიების ზოგადი ცნებებით დაშვებული შეფასების ზღვრის საფუძველზე, არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოები უარყოფენ და არ აღიარებენ რომ იმყოფებიან შეიარაღებულ კონფლიქტში. მათ ურჩევნიათ რომ ხელოვნურად დასწიონ ხოლმე სიტუაციის ინტენსივობის დონე იმის მტკიცებით რომ მათ მიერ განხორციელებული ოპერაციები მხოლოდ საჯარო წესრიგის შენარჩუნებას ემსახურება. ასეთ დროს ისინი არ იყენებენ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს. ეს ტენდენცია კიდევ უფრო წახალისებულია იმ ფაქტით, რომ საერთაშორისო დონეზე არ არსებობს დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც ექნებოდა უფლებამოსილება რეგულარულად გადაეწყვიტა იმ შემთხვევების კვალიფიკაციის საკითხი, რომლებიც დიდი ალბათობით შეიარაღებული კონფლიქტის ერთ ან მეორე ტიპს განეკუთვნებიან. მართალია, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, რომლის მუშაობაც ძირითადად სწორედ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალზეა დაფუძნებული, ატყობინებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს სიტუაციის კომიტეტისეულ შეფასებას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი ეს რამენაირად მსხვერპლთა ინტერესის წინააღმდეგ არ იქნება გამოყენებული, მაგრამ ვინც ამ შეფასებას ისმენს არ არიან შეზღუდულნი და ვალდებულნი რომ გაითვალისწინონ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის შეხედულება. ასეთ დროს, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მოხდეს შესაბამისი ცნებების დაზუსტება რომ ინტერპრეტაციების სივრცე მაქსიმალურად შემცირდეს და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კიდევ უფრო მეტად პროგნოზირებადი გახდეს.